
ხუთშაბათი, 18 აპრილი, 2013



49767449 47 31681

8 ლარი



ფასი: 30 თეთრი

№91 (6092)



სოციალური ქსელებით იუსტიციის ყოფილი <u>33.2</u> მინისტრის განცხადება გავრცელდა





334133 344 334323331291: "334381331296 3334231 28133 23633332213"






306 36%3 306 36%3 306 36%3 316 36%3 316 36%3



ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ: "ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ" ᲒᲕ.<mark>3</mark>



334533680 333 67863606 306780606 35736336 34 3376336





ᲒᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲘᲜᲪᲘᲦᲔᲜᲒᲘ ᲛᲝᲮᲦᲐ ᲒᲕ.4



"ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" <mark>ᲒᲕ.7</mark> ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?





606M \$3%%76793 60736 60736 60736 60736 60736 60736 60736 60739 60736 60736 60736 60736 60736



ᲙᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ, 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფაქტი,

რომ საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები მაღალი რჩება. სამწუხაროდ, კიდევ უფრო მაღალი, ვიდ-คั้า าน ซึกธิง ซีเกางสีก คลุกციალურად ფიქსირდებოდა. მას შემდეგ, რაც მი-ნისტრის ბრძანებით ყველა სამედიცინო დაწესებულებას დაევალა ბავშვის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ერთ საათში სამინისტროსთვის, მონაცემები სამ თვეში კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე წინა წლებში იყო დაფიქსირებული. მინისტრმა ზუსტი ციფრების დასახელებისგან გუშინ თავი შეიკავა და დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში დააკონკრეტებდა.

პირველი სამი თვის მონაცემებით, სამწუხაროდ, გარ-დაცვალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმ სტატისტიკას, რომელიც ჩვენ აქამდე ხელთ გვქონდა. ჩვენ შევცვალეთ ინფორმაციის მოწოდების მეთოდოლოგია და ერთი საათის განმავლობაში ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება დავავალდებულეთ, დედისა და ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა ჩვენთვის ეცნობებინა. სამი თვის შეჯამებულ მონაცემებს გამოვაქვეყნებთ. მინიმუმ მესამედით უფრო მაღალია ციფრები, ვიდრე ცნობილი იყო. ცნობილი იყო, რომ 19-20-ის ფარგლებში მერყეობდა ყოველ ათასზე მონაცემები. რაც ახლა მოგვდის, ზუსტდება და ჩანს, რომ 30-ის ფარგლებში მერყეობს, – განაცხადა სერგეენკომ.

ჩვენს შეკითხვას, რა მიზეზების

გამო ფიქსირდება ბავშვთა სიკვდილო-ბის მაღალი ციფრები საქართველოში, მინისტრმა უპასუხა, რომ საქართველო ამ კუთხით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ასაკობრივ ჭრილში მსოფლიოში არსებული ტენდენციით. ეს



არის ინფექცია, კუჭ-ნაწლავის სისტემის პრობლემები, ანუ იგივე კვებითი კალორიები და სასუნთქი სისტემის დაავადებები: – ამ მხრივ თვისობრივად განსხვავებული სურათი საქართველოს შემთხვევაში არ იკვეთება საერთაშორისო სტატისტიკასთან შედარებით, – გვითხრა მინისტრმა.

საქართველოში ბავშვთა მაღალ სიკვდილობას ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობაც. იუნისეფის ინფორმაციით, საქართველო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით (16 ყოველი ათასიდან) სიდიდით მეორეა ევროპაში. ამასთან, 77 ათასი ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, აქედან დაახლოებით 26 ათასი ექვს წლამდე ასაკისაა. ასეთი მონაცემების ფონზე იუნისეფი რეკომენდაციებსა და თანამშრომლობას სთავაზობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც გუშინ მინისტრს იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა წარუდგინა.

სერგეენკომ განაცხადა, რომ თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდთან დიდი ხანია დაწყებულია. განსხვავება არის ის, რომ მოხდა შეთანხმება, რომ ბავშვთა ფონდის გამოცდილების გაზიარება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული მი-. მართულების <u>ე</u>რთობლივი განხორციელებით, როგორიც არის, მაგალითად, ორსულობის მონიტორინგი თუ ახალშობილთა სწო-რი კვება, არამედ უნდა მოხდეს სისტემური მიდგომა, რასაც დედისა და ბავშვის ჯანმრთელო-ბის დაცვა ჰქვია. მინისტრმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ მჭიდრო და ბევრად ინტენსიური თანამშრომლობა უნდა დაიწყოს გაეროს განვითარების ფონდთან იმისათვის, რომ ეს სისტემური მიდგომა იყოს გაწერილი შესრულების მონიტორინგის მკაცრი სისტემის ჩათვლით, წინასწარი სტრატეგიული დაგეგ-მვით და სხვა ქვეყნების გამოცდილე-

ბის გაზიარებით. თანამშრომლობის საფუძველზე მინისტრი პირობას დებს, რომ სწრაფ შედეგებს დავინახავთ უახლოესი თვეების განმავლობაში.

იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა აღნიშნა, რომ იუნისეფი მიესალმება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძალისხმევას სოციალურად დაუცველი ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად და მოუნოდებს მთავრობას, ინვესტირება მოახდინოს ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების პროგრამებში: - ინვესტიციები მათ შორის ჯანმრთელობაში, სკოლამდელ აღზრდაში, ბავშვთა სი-ღარიბის შემცირებასა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის დახვენაში გავლენას მოახდენს არა მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და დაცვაზე, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას საშუალო და გრძელვადიან პერიოდში და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ზრდასაც, – აღნიშნა გრაუ-

კონკრეტულად რას სთავაზობს გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს მთავრობას? როგორც ამბობენ, სასურველია მოხდეს ფქვილის სავალდებულო ფორტიფიკაციის შემოღება ორსულებში ანემიის შესამცირებლად და დედებისა და 6-24 თვის ბავშვების ვიტამინებით და მიკროელემენტებით უზ-. რუნველყოფა. ამ მარტივი ღონისძიებებით შესაძლებელია საქართველოში ყოველწლიურად 300 ბავშვის უსაფუძვლო სიკვდილის თავიდან აცილება. უმნიშვნელოვანესია ასევე ნეონეტოლოგთა გადამზადება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 72 პროცენტი დაბადებიდან სწორედ პირველ კვირის განმავლობაში ხდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ მარტივი ნაბიჯებით შეიძლება ბავშვთა გადარჩენის მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ ბავშვის ადრეული ასაკის განვითარების ყოვლისმომცველი სტრატეგიის ნაწილია.

იუნისეფი ასევე მთავრობას სთავაზობს ბავშვთა საყოველთაო შე-ღავათის შემოღებას თვეში 30 ლარის ოდენობით თითოეულ 5 წლამდე ასა-კის ბავშვზე და მონიტორინგის მექანიზმის შექმნას იმისთვის, რომ ბავშვთა საყოველთაო შეღავათმა მართლაც გააუმჯობესოს ოჯახებში ბავშვთა მდგომარეობა. ამით უკიდურესი სიღარიბე ხუთ წლამდე ბავშვებში შემცირდება 40 პროცენტით.

"ახალი თაობა" დაინტერესდა, იუნისეფის რეკომენდაციებიდან კონკრეტულად რომლის განხორციელებას შეძლებდა ჯანდაცვის სამინისტრო, თუნდაც რა პოზიცია ჰქონდა მინისტრს საყოველთაო 30-ლარიანი შეღავათის შემოღებასთან დაკავშირებით. რო-

გორც მინისტრმა განმარტა, ეს იქნება სტრატეგიის ერთ-ერთი ნანილი. ასევე კვების პროდუქტების გამდიდრება ერთ-ერთი ნაწილია და არა პირველი რიგის პრიორიტეტი.

ბავშვთა პენსიები და ინდივი-დუალური დახმარებები ესეც ერთ-ერთი ნაწილია, იღონდ ამის განსახორციელებლად საჭიროა რამდენიმე პირობა. პირველი – ამისათვის ბიუჯეტში უნდა გამოიძებნოს თანხები. ადრეც მითქვამს და ვიმეორებ, რომ ბიუჯეტს არ გააჩნია ის თვისება, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოჩნდეს თანხები რაღაც მიმართულების დაფინანსებას თუ ვზრდით, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ რალაცას ვამცირებთ. იმისათვის, რომ ბიუჯეტში გამოჩნდეს ახალი შესაძლებლობები, თავისთავად საჭიროა ბიუჯეტი გაიზარდოს. მეორე – იმისათვის, რომ ბავშვებისთვის უზრუნველვყოთ ასეთი დახმარება, შემუშავებული უნდა იყოს მონიტორინგის ძალიან მკაცრი მექანიზმი, რომ როცა ოჯახს თანხა ჩაერიცხება, ის მოხმარდება ბავშვს. ერთი რგოლის ამოგდებაც შლის მთლიან სისტემას. შემუშავდება სტრატეგია და მოქმედება დაიწყება სტრატეგიის შესაბამისად. ასე არ გამოვა, დღეს ფქვილი დავურიგოთ ბავშვს, ხვალ – <mark>30</mark> ლარი და ზეგ – ვიტამინები. ეს იქნება ერთიან ფართო ფრონტზე განხორციელებული პროექ-ტი, – აღნიშნა მინისტრმა.

გუშინ სერგეენკომ კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის მიერ გაჟღერე-ბულ ჯანდაცვითი პროგრამების შეჩერების თაობაზე, რომელსაც სააკაშვილის მთავრობა ახორციელებდა:

– ხაზს ვუსვამ, ვადასტურებ და პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე, ყველა ის ვალდებულება, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის ვალდებულებით იყო, ძალაშია და გრძელდება. თუ განხორციელება შეფერხებულია თვითონ განმხორციელებლის მიერ, ეს არის მისი პასუხისმგებლობა. არც ერთი ვალდებულება ჩვენი მხრიდან შეწყვეტილი არ არის, – განაცხადა სერგეენ-

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲦᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲦᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲦᲔᲑᲐ? ქსელებით იუსტიციის ყოფილი მინისტრის განცხადება გავრცელდა სოციალური



შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებში დიდი ამბებია. ერთიანი და მონოლითური გუნდის წევრები ერთმანეთს აქამდე ჩუმად ჭამდნენ, ახლა კი ღიად დაერივნენ ერთმანეთს. ამ მხრივ პიონერის როლი დათა ახალაიამ შეასრულა. 15 აპრილს მან "ფეისბუქით" განცხადება გაავრცელა და ყველა უბედურების სათავედ ვანო მერაბიშვილი დაასახელა. დ. ახალაიას განცხადებას დიდი ჟრიამუ-

ლი მოჰყვა. გავრცელებული ხმებით, ახალაია ვანოს წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აპირებს. მერაბიშვილს ამის არ ეშინია. მიიჩნევს რომ ეს ყველაფერი 19 აპრილის აქციას უკავშირდება. სოციალური ქსელებით გუშინ კიდევ ერ-

თი განცხადება გავრცელდა. ეს განცხადება იუს-ტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის "ფეისბუქის" გვერდზე მისივე სახელით განთავსდა. დ. ახალაიას მსგავსად ისიც მერაბიშვილის წინააღმდეგ გამოდის. "ახალი თაობა" სრულად გთავაზობთ ამ განცხადებას.

მე ზურაბ ადეიშვილი ვარ საქართველოდან გაქცეული და მინდა, დღეს დავარღვიო დუმილი და ყველაფერი ვთქვა, რაც ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში. დიახ, მე მინდა, ზუსტად ყველაფერი ვთქვა, იმის შესახებ რაც ვიცი ციხის งิชิจำจัดใน ชีกูในงชักอัง. งชี โนงปูชีก ซึ่ง ซึก ซึก ซึ่งคังბიშვილია დამნაშავე, რომელიც მეთაურობდა ყველა იმ საშინელებას, რაც ხდებოდა იმ დროს ციხეებში, ასევე ლაფანყურის ამბებიც მაგის ერთი საგმირო საქმეა. მე მარტო რაბიშვილს არ ვადანაშაულებ იმ ამბებში, რაც ხდებოდა იმ დროს საქართველოში. ამ საქმეებს ძირითადად საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეკვეთით ასრულებდა ვანო მერაბიშვილი, ასევე ძმები ახალაიები მისი ქვეშევრდომები და შემსრულებლები იყვნენ და არაერთი ბოროტება აქვთ ჩადენილი. მე მზად ვარ, ჩამოვიდე და სამართალდამცველების ყველა კით-ხვას ვუპასუხო. მე არ გავურბივარ სამართალს და თუ დამნაშავე ვარ, მზად ვარ, კანონის წინა-

შე ჩავდგე. მე ასევე მაქვს, ის დამამტკიცებელი საბუთები, სადაც სააკაშვილის ბრძანებით მოხ-და 7 ნოემბერს მშვიდობიანი ხალხის დარბევა და ასევე მისივე ბრძანებით დაარბიეს 26 მაისს მშვიდობიანი მოქალაქეები, რის დროსაც რამდენიმე ადამიანი ცემით მოკლეს. ბევრი მაქვს სათქმელი ხალხისთვის. მინდა, ხალხს ბოდიში მოვუხადო იმის შესახებ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვდუმდი და არ ვლაპარაკოპდი. დიახ, აი, ამიტომ ვარ მე დამნაშავე და არ მიკვირს, რომ ხალხას ჩემდამი ზიზღის გრძნობა აქვს, – ნათქვამია განცხადებაში.

ნაციონალებს ამ განცხადების სინამდვილეში ეჭვი ეპარებათ. ვარაუდობენ, რომ ეს არის შავი პიარი, რომელიც ხვალისთვის დაგეგმილი აქციის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ამბებთან დაკავშირებით ნაციონალების გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. რომელსაც გუშინ დეპუტატი მარიკა ვერულაშვილიც დაუპირისპირდა. ახა-ლაიას განცხადებას ხელისუფლების ზეწოლად

– მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ შეიძლება ხვალაც, ზეგაც ოღონდ ამ შემთხვევაში იქნება ძალიან ცოტა ადამიანი, ვინც ჩვენთან იდგა წლების განმავლობაში და შეიძლება, ვერ კაუძლოს სხვადასხვა ცდუნებას, ზეწოლას, დაშინებას, შანტაჟს, მაგრამ ძირითადი ბირთვი "ნაციონალურ მოძრაობაში", ძირითადი ჩვენი მეგობრები და ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთად იმიტომ, რომ წინააღმდეგობა გვაძლიერებს ჩვენ make dalace assistants as assistant makes იმისთვის, რომ მომავალში უფრო ნაკლები შეცდომა დავუშვათ. მე მინდა, მოვუწოდო ხელისუფლებას, რომ თუ რამე შეკითხვები აქვს, თუ რამე ზეწოლა უნდა, აგერ ვარ მე, თავი დაანებოს ჩვენი პარტიის რიგით წევრებზე, აქტივისტებზე ზეწოლას. თავი დაანებოს ჩვენს მეგობ-. ທົ່ງວັຽງ, ບ່ວງຕົງວັულოების წევრე<mark></mark>ວຽງ ຽງწოლას, არასაოდეს ასეთ მეთოდებს შედეგი არ გამოუღია ხელისუფლების სასარგებლოდ. ჩვენ ეს გაკვეთილი უკვე ვისწავლეთ და ამ გაკვეთილის



სწავლა მოუწევს ამ ხელისუფლებასაც, – განაცხადა მერაბიშვილმა.

ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი დეპუტატ მარიკა ვერულაშვილის განცხადების გამო სინანულს გამოთქვამს.

– სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა ჩვენმა და პირადად, ჩემმა მეგობარმა ვერ გაუძლო ზეწოლას, შანტაჟს და მე მხოლოდ სინანული შეიძლება, ამის შესახებ გამოვთქვა, მაგრამ მე ვთვლი, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ძირი თვი, არის მტკიცე, ისინი მათ უმრავლესობას ვერ შეაშინებენ, ვერ დათრგუნავენ, ეს კიდევ ერთი გაკვეთილია ჩვენთვის და სხვათა შორის ჩვენ და პირადად მე ძალიან ბევრის სწავლა მომიწია და ჩემთვისაც ეს იქნება ერთ-ერთი დიდი გაკვეთილი; მე ვაპირებ, რომ ვისწავლო ჩემს შეცდომებზე, რასაც არ აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება. მე მზად ვარ, პასუხი ვაგო ყველაფერზე, რაც კი გამიკეთებია. მე შეიძლება მძიმედ, მაგრამ გადავიტან ყველა ასეთ გამოხტომას, რადგან

მამოძრავებს მთავარი პრინციპი – მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ვაპირებ დავრჩე ამ ქვეყანაში და რაც არ უნდა იყოს და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, რა ზეწოლაც არ უნდა ხორციელდებო-დეს, ვაპირებ ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახის, ჩემი მეგობრების მომავლისათვის ვიბრძოლო, — განაცხადა მერაბიშვილმა.

ის ხელისუფლებას მოუწოდებს თავი დაანებოს ზეწოლებს, რადგანაც ეს ყველაფერი ფუჭად ჩაივლის.

დღეს ჩვენს ხელისუფლებას ძალიან ეშინია 19 აპრილის, იგი ყველაფერს აკეთებს, რომ 19 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე აქცია არ შედგეს, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას ხალხის ძალიან ეშინია. დაიწყო აგ-რესიული ზეწოლა "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებზე, დაბლოკილია სამარშრუტო გაქსები, გადადებულია ის მარშრუტები, რომელიც რეგიონებიდან ტრადიციულად ყოველდღე ჩამოდიოდა. ხდება საკრებულოს წევრებ-ზე, პარლამენტის წევრებზე ზეწოლა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ "ნაციონა-

ლური მოძრაობის" ლიდერების დისკრედიტაცია მოახდინოს, მათ შორის ჩემი. ხელისუფლებას ეს ვერ გადაარჩენს და ტუუილად ჰგონია, რომ ჩვენ ამ აქციის ჩატარებას ვერ შევძლებთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი არის დაბლოკილი, ჩვენი ყველა აქტივისტი უკლებლივ ჩამოვა თბილისში, სხვადახვა რეგიონებიდან მოვა რუსთაველზე და რა თქმა უნდა, ეს მიტინგი აუცილებლად ჩატარდება. ხელისუფლებას უნდა, რომ აქცენტები გადაიტანოს სხვა თემებზე, მაგრამ ხელისუფლებას არ აქვს ბევრ შეკითხვაზე პასუხი, მათ შორის უმუშევრობაზე და სხვა ბევრ დაპირებაზე. ჩვენ ვაიძულებთ მათ ყველა შეკითხვას გასცეს პასუხი. ხელისუფლება იძულებული გახდება შეუსრულოს საკუთარი ვალდებლებები. მე მიმაჩნია, რომ ეს უსუსური ქმედება, რომელსაც ჩვენ 19 აპრილისთვის ველოდით, განხეთქილება შეიტანოს ნაციონალურ მოძრაობაში, ფუჭად ჩაივლის, – განაცხადა მერაბიშ-

abaen mamba

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან **გიაგარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი **გიაგარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ოთარ წინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 **გავრცელების სამსაზური** – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუპინაშვილის ქ. N ± 50 , მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91

33ർ-പ്രാൻ്റ്റ്റെ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



979277 7W09U90: "ጠმበს ሮሐጦს በንሐንሮበႱ **ᲒᲐᲧᲘ**ᲦᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ **ᲮᲐᲛᲝᲜᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ** ያጋ3ሣሀ ሣንዓ **ᲒᲐᲛᲝᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲦᲔᲑᲐ**ՙ

ექსპერტ მამუკა არეში ძის განცხადებით, ომის დროს იარაღის გაყიდვასა და ჩამოწერასთან დაკავშირებით უახლოეს ხანებში ბევრი რამ გამოაშკარავდება.



ამის შესახებ არეშიძემ "პრაიმ-ტაიმის" პრეს-კლუბში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩევლის ჯონათან სილვერმანის ინტერვიუს კომენტირებისას განაცხადა.

ფრაზა, ომის დროს იარაღის გაყიდვასთან და ჩამოწერასთან დაკავშირებით. ეს არ არის ყასიდი ნათქვამი და ეს ინფორმაცია მხოლოდ მე არ მაქვს, ამ ეტაპზე მხოლოდ ეს შემიძლია, გითხრათ, თუმცა ამ საკითხზე უახლოეს ხანებში ბევრი რამ გა მოაშკარავდება. გაიხსენეთ სენაკის, გორის ბაზები, როდესაც ჩვენმა ჯარისკაცებმა ისე დაიხიეს უკან, რომ ერთი ნაღმიც არ დაუდიათ", — აღნიშნა არეშიძემ.

მისივე თქმით, ირაკლია ალასანიამ თავდაცვის მინის-ტრის პოსტზე დანიშვნისთანავე უწყებიდან დიდი რაოდენობის თანხების დაკარგვაზე ისა-

ექსპერტი აცხადებს, რომ სწორედ ამ თემაზე დაიწყო საუბარი ბაჩო ახალაიამ ამავე პოსტზე დანიშვნისთანავე.

"ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲮᲦᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲦᲣᲠᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲒᲡ 115 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲦᲐᲣᲯᲦᲐ"

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი იმის გამო, რომ პრეზიდენტს დაცვის სამსახური ჩამოართვეს. არანაკლები წიოკი ატყდა სახელმწიფო დაცვის სამსახურის დაფინანსების შემცირების გამო. აქამდე ამ თანხებს გრიფით საიდუმლო ედო და ვერავინ არკვევდა, რაში იხარჯებოდა ამდენი ფული.

. საქართველოს პარლამენტის უშრავლესობის წევრის ირინე იმერლიშვილის განცხადებით, სახელ-მწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტიდან, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფულს არამიზნობრივად ხარჯავდა.

დეპუტატის თქმით, აღნიშნული სამსახურის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი პრეზიდენტის ოჯახის წევრებისა და მაშინდელი ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირების დასვენებაზე იხარჯებოდა. იმერლიშვილის განცხადებითვე, ეს ყოველივე იყო გრიფით "საიდუმლო" და ხარჯების ნახვა შეუძლებელი იყო.

– სრულიად შოკისმომგვრელ თანხებზეა საუბარი. შოკისმომგვრელია, როცა იგებ, რომ დუბაიში, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათ შორის ჩვენი კოლეგები და ძველი პარლამენტარები, კობა ხაბაზი, გოგა ხაჩიძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიამვილი, ნუგზარ წიკლაური, სერგო რატიანი და დავით დარჩიაშვილი, ასევე ალანა გაგლოევა და ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრეზიდენტთან ერთად, ახალ 2013 წელს შეხვდნენ, მათ გართობაზე კი 240 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე ჩვენს კოლეგა ქალბატონს პრეზიდენტმა უყიდა საკმაოდ ძვირადღირებული მობილური ტელეფონის აპარატი და სამაჯური, რომელიც ამ დოკუმენტებში ჩანს. ასევე რუს ჟურნალისტ ქალბატონ სოკოლოვასთვის სააკაშ ვილს ნაჩუქარი აქვს ოქროს საკმაოდ ძვირადღირებული ნაკეთობა. შოკისმომგვრელია ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა, საკმაოდ ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე გასახ დომი პოცედურები ჩაიტარეს, რომელიც ქვეყანას 115 ათასი ლარი დაუჯდა, – განაც-

ხადა იმერლიშვილმა. กตักธิง กลิ่าตับกลิ่าการ თქმით, ყველა ეს ფაქტი, ოფიცი-ალური დოკუმენტებით არის გამყარებული. ეს დოკუმენტები გუშინ სოციალური ქსელებითაც გამოქვეყნდა.

დეპუტატი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს იმის გამო, რომ ნაციონალებს სააკაშვილი უმწეოდ და დაუცველად გამოჰყავს.

– მოგეხსნებათ, მე ვიყავი ინიციატორი სახელმწიფო დაც-ลูกบ บังกุษักงლური บังอิบงชุทุศกบ ปีกსახებ კანონში ცვლილების შეტანისა, ამიტომ ჩემთვის ძალიან რთულია პროვოკაციული გამოსვლების მოსმენა და საუბრები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი დაუცველია. პრეზიდენტი აეროპორტში თავისი ცისფერი ელექ-

ტრომობილით მიდის და აცხადებს, რომ მას სახელმწიფომ დაცვა მოუხსნა, ეს ასე არ არის. პრეზიდენტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იცავდა და იცავს ახლაც, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა. იქამდე, ვიდრე სდსს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში იყო, მის დოკუმენტებს გრიფით საიდუმლო ედო. მას შემდეგ, რაც სდსს მთავრობის დაქვემდებარებაში

გადავიდა, მას მოეხსნა საიდუმლო გრიფი და ჩვენ ອີດຊີ່ຢິ່ວທົ່ວ ອີດວຽວຕັ້ວ ວັດຕາງຫົວ ອີກູຕົວບໍ່, ອີຕັ້ງ ອີຕ້ອງວັດ ອີວ ინფორმაცია სდსს-ს მიერ გაწეული ხარჯების შესა-

ხებ. მიღებული ინფორმაცია ჩვენთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. რადგან, დოკუმენტებ-ში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტის ოჯახის წევრების, მიი მეგობრებისა და ნათესავების დასვენებასა და სწავლზე, ასევე ესპანელი მზარეულისა და თარჯიმნისთვის სდსს-ს ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯებოდა, — განაცხადა იმერლიშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნუ-ლი თანხიდან ცხვრებიც არის ნაყიდი, რომელთა ღირებულე-ბა, იმერლიშვილის თქმით, 6 ათას ლარს აჭარბებს.

– პრეზიდენტის პირადი მზარეულის, რომელიც ესპანეთიდან ჰყავს ჩამოყვანილი -მომსახურება, მზარეულის თარჯიმანი და მისი ცხოვრების ხარჯები ნახევარ მილიონ ლარს აღწევს. აი, ამიტომ არ უნდოდათ დაცვის სპეციალური სამსახურის გადატანა და ამ ყველაფრის გამოაშკარავება. დო-

კუმენტების თანახმად, ცხვრები 2011 წლის 22 ნოემ-ბერს არის შეძენილი, 23 ნოემბერს კი ცხვრები გურჯაანში, აწყურში, ქედაში, ართანასა და ლალისყურში სხვადასხვა პირებს გადაეცათ, – აღნიშნა დეპუტატ-

საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის ამერიკაში ვიზიტისთვის სდსს-ს ბიუჯეტიდან ათასობით დოლარი დაიხარჯა.

ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, პირველი ლედის მხოლოდ სასტუმროს ხარჯებისთვის 16 618 დოლარზე მეტი დაიხარჯა, ამას დაერთო კვებასა და

სათამაშოებზე, ასევე ფოტოსურათებზე, ავტომანქანის დაქირავებასა და სხვა მომ-โงช์ურეठังชิก გงธิกูულัก ชงศჯები.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ვაჟის ედუარდ სააკაშვილის სწავლაში სდსს-ის ბიუჯეტიდან 14 000 ლარი დაიხარჯა.

ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული თანხა "თიბისი ბანკიდან" "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ უნივერსიტეტში" ვინმე გიორგი ლაგურაშვილის მიერ **2010** წლის 14 სექტემბერს გადაირიცხა.

აღსანიშნავია, რომ გადარიცხული 14 000 ლა-რით ედუარდ სააკაშვილის 2010-2011 წლის სწავლის ხარჯები დაიფარა.

პრეზიდენტის უმცროსი ვაჟიშვილის ნიკოლოზ სააკაშვილის სკოლაში შესვლაზე სდსს-ის ბიუჯეტიდან 5 900 ლარი დაიხარჯა. ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, გაწეული ხარჯების დასაფარად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა თანხა 2011 წლის 11 ნოემბერს გადაინადა.

ამავე დოკუმენტის თანახმად, ვინმე გიორგი ლაგურაშვილმა ბრიტანულქართულ აკადემიაში აღნიშნული თანხა ქვეყნის პირველი პი-

რის უმცროსი ვაჟის სწავლისთვის გადარიცხა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, ყველამ იცოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მეგობრები ბიუჯე-

ტიდან თანხებს ხარჯავდნენ, მაგ-

์ พึ่งอี้ งปฏุดก ฮิงปซิลูงอี้ฏูอีก ซึ่งค์ฮิพუდგენელი იყო.

ირინა იმერლიშვილმა გააკეთა განცხადება, რომელიც ეხება სახელმწიფო დაცვის სპე-ู้ ผกงლური โงอิบงชั้งที่กิบ ฮีกูบงชกู้ გაწეულ ხარჯებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენც და საზოგადოებაც ვართ შოკირებული, რადგან ყველამ ვიცოდით, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს არამიზნობრივად ხარჯავდნენ, თუმცა თუ ამ ხარჯებს ასეთი მასშტაბური სახე

ჰქონდა, წარმოუდგენელი იყო. როცა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კანონი შეიცვალა, არ დამთავრდა თემა, რომ თურმე პრეზიდენტი დარჩა დაცვის სამსახურის გარეშე. შესაბამისად, ირინე იმერლიშვილმა მიმართა მთავარ პროკურატურას დოკუმენტებზე გრიფი "საიდუმლო" აეხსნა. ეს არის ნაწილი იმ ყველაფრისა, რა ხარჯებიც არის გაწეული ამ წლების განმავლობაში. ყველაზე საინტერესო ის არის, ศักดิ์ งิชิ โงชีโงชิพูทีโง งารั้งโดกัก เดิด เชิง โรงศ์ หูก, ฤหัตก, ฤโ არის საჯარო და მეორე, ეს არის საიდუმლო ნაწილი და ეს არის ხარჯები, რომლის გახსნასაც ერიდება სდსს. აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ დაცულ პუნქტში დევს ის ხარჯები, რომლებზეც იმერლიშვილმა ისაუბ-განაცხადა საგანელიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლი-დერის, გოგა ხაჩიძის მტკიცებით, ნაციონალები ახალ წელს ავღანეთში შეხვდნენ და არა დუბაიში.

როგორც ჟურნალისტებს ხაჩიძემ განუცხადა, დუბაიში სააკაშვილს მხოლოდ ეძინა და მეორე დღეს ქვეყანა დატოვა

- ახალი წლის ღამეს, თბილისიდან პრეზიდენტთან ერთად დელეგაცია გავფრინდით ავღანეთში, ბრიტანულ ბაზაზე დაღუპული ქართველი ჯარისკაცის გადმოსვენების პროცესს დავესწარით, რის შემდეგ ამ ბაზიდან ჩვენ ქართულ ბაზა "შუკვანზე" გავფრინდით და ახალი წლის ღამეს ქართველ ჯარისკაცებთან ერთად შევხვდით. გამთენიისას ისევ იგივე მარშრუტით დავბრუნდით დუბაიში, სადაც სასტუმ-ศักสิก อุงสูงกรึงสูอกต. ปราจอสิทธิ์ ตั้งกูเกา ลูสูปกรื้อง อุง ศึงอุგან პრეზიდენტი სხვაგან აგრძელებდა ვიზიტს, მთელი დელეგაცია სასტუმროში დავრჩით და ჩვეულებრივი რეისით თბილისში დავბრუნდით. ამის მოწმე არიან ჯარისკაცები და მაგ სიმართლით იაროს ბა-ტონმა საგანელიძემ, — დასძინა დეპუტატმა.

განცხადება გააკეთა უმცირესობის მეორე დეპუტატმა მარიამ საჯაიამაც. ის უარყოფს, რომ საჩუქრად სამაჯური მიიღო.

ამ ხარჯებს, როგორც იქნა, გრიფით "საიდუმლო" აეხსნა. ახლა ამ ყველაფერს პროკურატურა სწავლობს.





ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜ**&**Ი ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡ <u>ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲦᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ</u>

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში მოქმედი სომხური სათვისტომოს საერო და სასულიერო ორგანიზაციებმა, 1915-23 წლებში სომეხთა გენოციდის ფაქტის აღიარების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტს მიმართეს. ამ მოთხოვნით ერეკლე მეორის საზოგადოებაც გამოვიდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში სომხების გენოციდის აღიარებას ითხოვენ. ასეთი მოთხოვნა საკანონმდებლო მიმართვაში გასულ წელსაც შევიდა.

მიმართვაში ნათქვამია, რომ 1915-1923 წლებში სომეხმა ერმა 2 მილიონზე მეტი ადამიანი და საკუთარი სამშობლოს უდიდესი ნაწილი დაკარ-



გა. ასევე, 1915-1923 წლებში სომეხი ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც გენოციდი, ამაზე კი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტები მეტყველებს. აქვე აღნიშნულია, რომ დღეისათვის, სომეხი ერის გენოციდი აღიარებულია მსოფლიოს 20-ზე მეტ სახელმწიფოსა, ასევე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის – ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს მიერ.

– ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი საქართველოს სომხური სათვისტომოს საერო და სასულიერო ორგანიზაციები მოგიწოდებთ სამართლიანობის და დემოკრატიული ფასეულობებისთვის ერთგულების სახელით შეუერთდეთ მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების ინიციატივებს და საქართველოს პარლამენტში ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე სომეხი ერის გენოციდის აღიარების საკითხის განხილვის ინიცირება მოახდინოთ, – ნათ-

ქვამია მიმართვაში. ამ მიმართვას ხელს "საქართველოს სომეხთა სათვისტომო"; საქართველოში სომეხთა სამოციქულო წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი "ჰაიარტუ-ნი"; საქართველოს სომხური ეროვნული კონგრესი; თბილისელ სომეხთა ასამბლეა; საქართველოს სომეხ მწე-რალთა კავშირი "ვერნატუნ"; საქართველოს სომეხთა სათვისტომოს სტუდენტთა ასოციაცია; საქართველოს სო-อิวู่ชอง บงอาลูกบลูกอีกป งชั่งตลงชักอุฑูตก კავშირი; საქართველოს სომეხ მხატვართა კავშირი; საქართველოს სომეხ ინტელიგენტთა კავშირი; საქართველოს სომეხ მუსიკოსთა კავშირი აწე-

მიმართვაში ნათქვამია, რომ გასულ წლებშიც საქართველოს სომხურმა ორგანიზაციებმა, გენოციდის აღიარების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს ქვეყნის პარლამენტსა და მთავრობას, მაგრამ დღემდე მათი მოთხოვნა უპასუხოდ რჩება.

საქართველოს პარლამენტი ამ საკითხის განხილვას არ აპირებს. იმის გამო რომ სომხეთიც და თურქეთიც საქართველოს მეზობელი ქვეყნები არიან ჩვენი დეპუტატები ფრთხილ განცხადებებს აკეთებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძნიშვილი მიიჩნევს, რომ სომხეთს საქართველოსთან სასაყვედურო არაფერი აქვს:

– საქართველოს, ქართველ ხალხს, ამ საკითხთან დაკავშირებით სომხეთის მხრიდან და სომეხი ხალხის მხრიდან საყვედური არ ეთქმის. მაში-ნაც, როცა ხდებოდა ეს მოვლეენები, ვიქცეოდით ისე როგორც შეეფერება ხალხს. შევიფარეთ ისინი და გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება. ამაზე მეტის მოთხოვნა პოლიტიკური თვალ-บังชิทักบกต งท์ งักกบ บังสิงท์ตะกงจิก. บักสิ-

ხეთის გენოციდის აღიარება პოლიტიკურად წარმოუდგენელია. ბუნებრი-ลูกง, ეს งศงลูกดงศ์ ฮีกูฮิดช่ลูกูลงฮิก งศ์ ฮิทชდება. მე არ ვიცნობ საქართველოს სი-ტუაციაში არც ერთ პარტიას, არც ერთ ხელმძღვანელ ამხანაგს, რომელიც ოდესმე ამას გააკეთებს. ეს არის წარმოუდგენელი პოლიტიკურად... მართალი გითხრათ, რომ კარგი იქნება თუ ჩვენი მეზობელი ხალხი მომავლისკენ გაიხედავს. იმიტომ, რომ წარსულში ვინ შექმნა ქართული ანბანი, ვინ ვის დაეხმარა და სხვა ამ საკითხების მსგავსად არ უნდა ჩავიციკლოთ წარსულში. ჩვენ პატივს ვცემთ ყველაფერს, რაც მოხდა, ჩვენ ვიზიარებთ მეზობელი ხალხის ტკივილს და 24 აპრილი ჩემთვისაც ისეთივე მტკივნეული დღეა, როგორც ნებისმიერი სომეხისთვის, მაგრამ გენოციდის აღიარების საკითხი საქართველოს პარლამენტში არ დაისმება არც ახლა და არც არასოდეს, ასეთია ჩემი აზრი. არაფერი არ მიმაჩნია საწყენად, მაგრამ არ არის გულწრფელი ეს მოთხოვნა, ვინაიდან შეუძლებელია მისი შესრულება, – განაცხადა "ნეტგაზეთთან" საუბარში ბერძენიშვილმა.

ბერძენიშვილის თქმით, არ არის გასაკვირი რომ გენოციდის აღიარებას არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ, რადგან სომხეთს ასეთი რამ არასოდეს მოუთხოვია.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი შოთა მალაშხია კი აცხადებს, რომ უკეთესი იქნება, თუ ეს არასამთავ-

რობო ორგანიზაციები მიმართავენ სომხეთის პარლამენტს, ქართველების ეთნოწმენდის და გენოციდის აღიარების მოთხოვნით: მალაშხია მიიჩნევს, რომ სომხეთმა და თურქეთმა ეს საკითხი დიალოგის ხარჯზე უნდა გაარკვიონ:

– მე ვყოფილვარ კონფერენციაზე, სადაც თურქულმა მხარემ უთხრა სომხურს, რომ მოდი ეს შემთხვევა ისტორიულ კონტექსტში, ისტორიკოსე-อัก ดუต์ ปุ่าตกใ อิธีตักตุ้ง อิจิงตุ้งตกง อี้ ตุกใკუსიისთვის. ისინი არიან მეზობლები, ევროპისკენ და ნატოსკენ მიისწრაფიან, ამიტომ ეს საკითხები ტვითონ გაარ-კვიონ. არ არის მათ შორის ის წინაალმდეგობები, რომელიც არის ჩვენსა და რუსეთს შორის. კიდევ ერთი ფაქტი, უმჯობესი იქნება, რომ გაეროს რეზოლუციების დროს, როდესაც ეთნოწმენდის საკითხი დგება და დემოგრაფიული ექსპანსიის საქართველოსთან მიმართებაში, მაშინ სომხეთი არ იყოს იმ 11 ქვეყანას შორის, რომელიც წინააღმდეგია და იყოს იმ **50** ქვეყანას შორის, რომელიც ეთნოწმენდას აღიარებს. ჩვენ ჩვენი უამრავი პრობლემა გვაქვს, ნახევარი მილიონი დევნილი და ასე შემდეგ და თუ ჩვენ გვექნება ამხელა წონა და ამხელა გავლენა რეგიონში, რომ რაღა-ცა 1915 წლის საკითხებზე ვიმსჯელოთ და თუ მე ამ დროისთვის ცოცხალი ვიქნები და თქვენც ამ სტატუსით იქნებით, მობრძანდით და გავაგრძელოთ ამაზე საუბარი, – ამბობს ნაციონალი დეპუტატი.



ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ **ᲒᲕᲔᲠᲦᲨᲘ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ**"

ნათია ხურცილავა

მარიკა ვერულაშვილი მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის ყველაზე ახლო წევრი იყო. მიუხედავად ამისა, ვერულაშვილმა ყველასთვის მოულოდნელად გა-

დაწყვეტილება მიიღო, რომ "ნაციონალური მოძრაობა" დაეტოვებინა.

გუშინ ასევე, სრულიად მოულოდნელად, პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ორთვიანი დუმილი დაარღვია.

დეპუტატის დუმილის დარღვევას წინ დათა ახალი-อโ "ფეისბუკის" บองუთარ გვერდზე გამოქვეყნებული წერილი უძღოდა, სადაც ახალა-ია "ნაციონალური მოძრაობის" არჩევნებში დამარცხებას ვანო მერაბიშვილს აბრალებ-

"ნაციონალური მოძრაობის" ორ ბანაკს შორის დაპირისპირება სახეზეა. ამჯერად ახალაიები და ვანო მერაბიშვილის გუნდი უპირისპირდება ერთმანეთს. თუმცა, ჯერ ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, მიხეილ სააკაშვილი მთელ ამ პროცესში რა როლს ითამა-

გუშინ მარიკა ვერულაშვილს პრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთე-ბია. მისი განცხადების ადრესატი ვანო მერაბიშვილი

საქალაქო სასამართლოში გუშინ სრულიად მოულოდნელად მარიკა ვერულაშვილი გამოჩნდა, რომ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს დასწრებოდა. თუმცა, მანამდე პრესასთან განცხადება გააკეთა.

ვერულაშვილის დუმილის დარღვევის მიზეზი ვანო მერაბიშვილი აღმოჩნდა.

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის მარიკა ვერულაშვილის განცხადებით, ვანო მერაბიშვილი სიმართლის მოსმენას მიჩვეული არ არის. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ვერულაშვილი აცხადებს,

მერაბიშვილს სიმართლის მოსმენა მოუწევს.

მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ მერა-ბიშვილი სიმართლის მოსმენას მიჩვეული არ არის. მინდა, გითხრათ, რომ უახლოეს მომავალში ამის მოსმენა მას ხშირად მოუწვეს, – ამბობს ვერულაშვილი.

მარიკა ვერულაშვილი ვანო მერაბიშვილს აფრთხილებს, რომ მომავალში ბევრ მსგავს სიურპრიზს უნდა ელოდოს.

– უახლოეს მომავალში ის ძალიან ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდოს, – ასე აფრთხილებს ვერულაშვილი მერაბიშვილს.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა პარტიის დატოვების მიზეზებზეც.

– მე ამ დრომდე არ გამიკეთებია განცხადება პარ-ტიის დატოვების მიზეზებზე და მინდა, დღეს ამაზე ვისაუბრო. "ნაციონალური მოძრაობის" და ჩემი პარტიის

კრახი საპარლამენტო არჩევნებში მერაბიშვილის დამსახურებაა. სწორედ ამ ერთი კაცის დამსახურებაა. მიმაჩნია, რომ ამის შემდეგ ის პარტიის გენერალური მდივანი არ უნდა ყოფილიყო. მე სამართლიანი პროტესტი გამიჩნდა ამ ადამიანის მიმართ. რადგან ეს მაინც მოხდა და ვანო მერაბიშვილი დაინიშნა პარტიის გენერალურ მდივნად, მე ვეღარ ვხედავდი ჩემს ადგილს ამ პარტიაში და ჩემთვის მტკივნეული გადაწყვეტილება მივიღე, რაც ძალიან გამიჭირდა, რადგან დაარსების დღიდან ამ პარტიის წვერი ვიყავი. მე გავემიჯნე ვანო მერაბიშვილს. დღესაც ვთვლი და მაშინაც ვთვლიდი,

რომ მერაბიშვილის გვერდში დგომა დანაშაულია, განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.

ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე დასასწრებად მოსულმა მარიკა ვერულაშვილმა დათა ახალაიას "ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილზეც ისაუბრა.

. დეპუტატი აცხადებს, მას ეჭვი არ ეპარება, რომ წერილი დათა ახალაიას ეკუთვნის და მას არავითარი საერთო არა აქვს 19 აპრილს დაანონსებულ აქციასთან.

– მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ სოცია-ლური ქსელით გავრცელებული მიმართვა ნამდვილად დათა ახალაიას ეკუთვნის. მეტიც, შემიძლია გითხრათ, რომ განცხადებას, რომელიც სიურპრიზი აღმოჩნდა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალისთვის, არანაირი კავშირი არა აქვს ამ ეტაპისთვის 19 აპრილს დაანონსებულ აქციასთან, – განუცხადა ჟურნალისტებს მარიკა ვერულაშვილმა.

მარიკა ვერულაშვილმა ასევე ისაუბრა, თუ რატომ გამოაქვეყნა მაინცდამაინც 15 აპრილს მსგავსი შინაარსის შემცველი წერილი დათა ახალაიამ.

– ეს არის დათა ახალაიას საჩუქარი იუბილარ ვანო მერაბიშვილისადმი. მხოლოდ ეს არის მისი მოკოძალებული და დამსახურებული საჩუქარი ვანო მერაბიშვილისადმი. ორი დღის წინ, სწორედ ვანო მერაბიშვილის დაბადების დღე იყო. მე მიმაჩნია, რომ ვანო მერაბიშვილი არ არის მიჩვეული სიმართლის თქმას და მას კიდევ მოუწევს ძალიან ბევრი რამის მოსმენა. ის ძალიან ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდოს, – ამბობს ვერულაშვილი.

ჟურნალისტების კითხვაზე, გულისხმობს თუ არა დათა ახალაიას განცხადებას, რომ ის ყველა განცხადებას მტკიცებულებებით გაამყარებს, ვერულაშვილმა ასე უპასუხა:

– ამ ყველაფერზე თავად ისაუბრებს დათა ახალაია, როდესაც საქართველოში დაბრუნდება. ხოლო კითხვაზე, როდის დაბრუნდება, მისთვის უცნობია.

მარიკა ვერულაშვილი აღნიშნული განცხადების გარდა სხვა განცხადებას არ აკეთებს, როგორც ის ამბობს, ამის მიზეზი 19 აპრილის საპროტესტო აქციაა, რომ ზედმეტი შეფასებები არ მოყვეს მის განცხადე-ბებს. თუმცა, ჟურნალისტებთან პირობას დებს, რომ 19 აპრილის შემდეგ ყველა კითხვას პასუხს გასცემს.

ამოიწურა.

წელში ტეხავს.

ლად ცნობას.

ჭერმა ბედუკაძეს შეაგინა, რაზეც ბე-

დუკაძემ შეგინებითვე უპასუხა. თუმ-

ცა, ინციდენტი ფიზიკურ დაპირისპი-

რებაში არ გადაზრდილა და მალევე

თლო პროცესს უფლებადამცველი თეა თუთბერიძეც ესწრებოდა. თუთბერი-

ძის განცხადებით, ციხეში მყოფი ბაჩო

ახალაია ქურდულ სამყაროს დღესაც

ხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით,

სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა

წინა შუამდგომლობაც, რომელიც ით-

ვალისწინებდა ხუთი ჩვენების ბათი-

დევ ერთი შუამდგომლობა ხუთი ჩვენე-

ბის დაუშვებლად ცნობასთან დაკავ-

შირებით. პირადად მე ვითხოვდი, რომ

ეს ჩვენებები არ მიეღო სასამართლოს,

რადგან პროცედურული დარღვევები იყო. სასამართლომ ეს შუამდგომლობა

მიზანშეწონილად მიიჩნია და ხუთივე ჩვე-

ნება, რასაც ვითხოვდით, დაუშვებლად ცნო, – გვითხრა მალხაზ ველიჯანაშვილ-

სასამართლო პროცესი საქალაქო სასა-

მართლოში კვლავ განახლდება.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის

როგორც აღვნიშნეთ, სასამარ-

ბაჩო ახალაიას ადვოკატის, მალ-

ჩვენ დაყენებული გვქონდა კი-

しょからいし ՍԽՊℰԵርሎበዎ 19 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡ ესეთლებენ

ქუთაისის № 16-ე სკოლის დირექტორის მერაბ ნუცუბიძის განცხადებით, მას, 19 აპ-რილს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შეკრებაზე მისვლას აიძულებენ.

როგორც "ნიუსპრესს" ნუცუბიძემ განუცხადა, მის მობილურ ტელეფონზე დაფარული ნომრით ზარი განხორციელდა, რომლის ანონიმმა ავტორმაც მას მოსთხოვა, რომ 19 აპრილს "ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაანონსებულ აქციაზე მივიდეს, ასევე ხელი არ შეუშალოს მასწავლებლებს ამ შეკრებაზე წასვლაში.

"მე პირადად აქციაზე მისვლას არ ვაპირებ და როგორც ვიცი, ამას არც ჩემი სკოლის რომელიმე პედაგოგი გეგმავს, თუმცა სამუშაო საათების შემდეგ ყველას აქვს უფლება სადაც უნდა იქ წავიდეს"– აღნიშნა "ნიუსპრესთან" საუბარში ნუცუბიძემ.

მისივე თქმით, მას ამ საკითხზე, სამართალდამცველებისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავს.

ნიუსპრესი

8-14 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ **JURAUWESU ᲛᲡ**ᲯᲐᲕᲠᲦᲔᲑᲣᲚᲘ **U367 ᲐᲛᲜᲘᲡ**ᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2013 წლის 8 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით პერიოდში, ამნისტირებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღრიცხვაზე მყოფი 465 პირობით მსჯავრდებული. อิงด ฮิตต์กป, อิกต์ตอกดก อิปฐริฐრი მოეხსნა - 269 მსჯავრდებულს, მსჯავრი გაუნახევრდა -40 პირობით მსჯავრდებულს, ხოლო შეუმცირდა - 156 პირო-

ბით მსჯავრდებულს. ამნისტირებულ 465 ყოფილ პატიმარს შორის 134 - ნაკლებად მძიმე, 272 - მძიმე და 59 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული.

გათავისუფლებულ 465 პირობით მსჯავრდებულს შორის 434 მამრობითი და 31 მდედრობითი სქესის წარმომადგენე-

ნიუსპრესი გამოკითხულთა **ᲣᲛᲠᲐ**ᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ

ՆՖԻՐՄ, ՄԵՆԻՄ ႱᲝ₿ᲘᲐᲚᲣᲠ **1683**4363833 ᲝᲠᲘᲔᲜᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

საინფორმაციო სააგენტო "ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 10 აპრილიდან 17 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივა უფასო სახელმძღვანელოების შესახებ, მოსახლეობის სოციალურ ინტერესებზეა ორიენტირებული.

კითხვაზე - "თქვენი აზრით, არის თუ არა მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული განათლების სამინისტროს ინიციატივა სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შესახებ," - გამოკითხვაში მონაწილეთა 67,6 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, საწნიააღმდეგო მოსაზრება კი 24,3 პროცენტმა დააფიქსირა. ამასთან, დასმულ კიხვაზე პასუხის გაცემა, მონაწილეთა 8,1 პროცენტს გაუჭირდა. ნიუსპრესი

ᲒᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲘᲜᲪᲘᲦᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲮᲦᲐ ახალაიას ერთ-ერთმა მხარდამ-



ნათია ხურცილავა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი გუშინ საქალაქო სასამართლოში განახლდა. სასამართლო სხდომათა დარბაზში ბაჩო ახალაიას გულშემატკივრები ვერ დაეტივნენ და მათი ნაწილი დახურულ კარს მიღმა აღ-

გუშინდელ სასამართლო პროცესს წინ მოულოდნელად მარიკა ვერულაშვილის საქალაქო სასამართლოში გამოჩენა უძღვოდა.

ვერულაშვილი ახალაიას სასამართლო პროცესზე დასასწრებად მივიდა. სასამართლო პროცესს ასევე ესწრებოდნენ თეა თუთბერიძე და გენერალი გიორგი კალანდაძე.

როგორც ცნობილია, ბოლო სასამართლო სხდომებზე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ბაჩო ახალაიას აღარ გულშემატკივრობენ, პროცესს ძირითადად ოჯახის წევრები და ჟურნალისტები ესწრებიან.

სასამართლო პროცესზე გუშინ განხილვის ეპიზოდი ახალაიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდს უკავშირდებოდა. კონკრეტულად, რეინჯერების მომზადების საქმეს.

სასამართლო პროცესის მიმდინა-

რეობისას დაცვის მხარემ შუამდგომლობა დააყენა:

– ჩვენ, დაცვის მხარე, ვითხოვთ თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნას ინფორმაცია, თუ კონკრე-ტულად რა შედის რეინჯერის მომზადების კურსებში.

მოსამართლის კითხვაზე: ეთანხმება თუ არა აღნიშნულ შუამდგომლო-ბას ბრალდების მხარე?

სასამართლო დარბაზში დამსწრე საზოგადოების მოულოდნელად, ბრალდების მხარემ თანხმობა განაცხადა:

- დიახ, ჩვენ ვეთანხმებით აღნიშნულ შუამდგომლობას, თუმცა, ასეთი პროგრამა არ არსებობს, რამდენადაც ჩვენ გავარკვიეთ.

ამის შემდეგ მოსამართლე დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხზე სათათბიროდ გავიდა. ახალაიას მხარდამჭერები სასამართლო პროცესის განახლებას დერეფანში ელოდებოდნენ. სწორედ ამ დროს სასჯელაღსრულების მერვე დაწესებულების ყოფილ თანამშრომელს, ვლადიმერ ბედუკაძეს ბაჩო ახალაიას პროცესზე დამსწრე ქალბატონმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

საქალაქო სასამართლოში ბაჩო ახალაიას პროცესის პარალელურად პატიმართა წამებაში ბრალდებული სასჯელაღსრულების დაწესებულების ყო-

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ

ᲙᲐᲡᲙᲝᲠᲢᲣᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲣᲚᲣᲑᲡ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲕᲘᲖᲐ ᲐᲦᲐᲠ

ደንሁ፥በሐዊጋኔንመ

რეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებ-

მა, დავით ჯალაღანიამ და ზეევ ელკინმა

დღეს იერუსალიმში, ხელი მოაწერეს ხელ-

შეკრულებას, რომლის მიხედვითაც დიპ-

ლომატიური და სამსახურეობრივი პას-

პორტების მფლობელებს, ისრაელში გა-

სამგზავრებლად ვიზები აღარ დასჭირ-

სა და ისრაელის საგარეო საქმეთა სამი-

ნისტროებს შორის პოლოიტიკური კონ-

სულტაციების ფარგლებში მოეწერა. კონ-

სულტაციების დროს მხარეები ორმხრივ

ურთიერთობას, რეგიონულ და სტრატე-

გიულ საკითხებსა და საერთო პრობლე-

ები, მაისის დასაწყისში თბილისშიც გაი-

, ორ ქვეყანას შორის კონსულტაცი-

ნიუსპრესი

შეთანხმებას ხელი, საქართველო

საქართველოს და ისრაელის საგა-



ფილი თანამშრომლების პროცესიც მიმდინარეობდა.

ბედუკაძე სასამართლოს შენობის დერეფანში მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა სწორედ მაშინ გაატარეს, როცა ახალაიას პროცესზე შესვენება იყო გამოცხადებული და დამსწრე საზოგადოება დერეფანში იმყოფებოდა

ᲙᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი მთავარ პროკურორს 2008 წლის ომზე გამოძიების შეწყვეტის თხოვნით მიმართავს და ამ საქმის ჰააგის სასამართლოში გამოძიებას ითხოვს.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ამის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა "ნაციონალურ მოძრაობასა" და მიხეილ სააკაშვილს დაეკისრება.

"მივმართავ მთავარ პროკურორს, რომ ომზე გამოძება შეწყდეს, რომის სტატუტი ამოქმედდეს და მივმართოთ ჰააგის ტრიბუნალს, რომ ქვეყნის შიგნით გამოძიების წარმართვა შეუძლებელია, რადგან ოკუპირებულ ტერი-ტორიებზე საგამოძიებო მოქმედებების წარმართვა ვერ მოხერხდება და ასევე გამოძიებას ეჭვქვეშ აყენებს ოპოზიცია, რომელსაც მხარს ევროპის სახალხო პარტია უჭერს. ქვეყნის შიგნით შეწყდეს გამოძიება და საერთაშორისო ტრიბუნალზე გავიდეს. მინდა შეგახსენოთ, რომ გამოძიება ჯერ კიდევ 2008 წელს ადეიშვილმა დაიწყო, რადგან ჩვენ საერთაშორისო ვალდებულება გვაქვს. გუშინ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ბატონმა გოგა ხაჩიძემ კიდევ ერთხელ მოითხოვა გამოძიების შეწყვეტა. მე მათ დავპირდი, რომ ამის თაობაზე მათ მოთხოვნას შევუერთდებოდი. დღეს თუ ამ გამოძიების გაგრძელება ქვეყნის შიგნით შეუძლებელია, ამას ჰააგის ტრიბუნალი გააკეთებს. ის დაკითხავს მოწმეებს და იქ არ გამოცხადებას კიდევ მძიშე შედეგები ექნება", – განაცხადა დავითაშვილმა.

ՑՊᲠՈᲡ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲨᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲦᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის საუღელტეხილო მონაკვეთზე არსებულ გვი-რაბში, ხანძრის შედეგად დაზიანებული მიმდებარე ტერიტორიისა და გვირაბის კედლების გაწმენდა-ჩამორეცხვა, დაზიანებული კომუნიკაციების დემონტაჟი და ტერიტორიიდან გაგანა დასრულდა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ასევე, განხორციელდა ელექტროკომუნიკაციებისა და სავენტილაციო სისტემის ტესტირება. განათების სისტემაზე გამოვლენილი დაზიანებების სრულფასოვნად აღმოფხვრის მიზნით, აღდგენითი სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდება და უმოკლეს დროში დასრულდება, თუმცა, ეს ხელს არ შეუშლის გვირაბში ავტოტრანსპორტის გადაადგილე-

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საავტომობი-ლო გზების დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გორის საუღელტეხილო მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება აღდგენილია.

ნიუსპრესი

დებათ.

მებს განიხილავენ.

მართება.



ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲗᲐᲕᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ. **ᲯᲔᲤᲠᲘ ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲐ ᲘᲦᲘᲝ**ᲢᲘᲖᲛᲘᲐ

ექსპერტ მიხეილ თავხელიძის შეფასებით, ჯეფრი სილვერმანის განცხადება იდიოტიზმია. მის შესახებ თავხელიძემ "პრაიმტაიმის" პრესკლუბში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი

მრჩევლის ინტერვიუს კომენტირებისას განაცხადა.



"პირველ რიგში, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კაცი ვინმეს მრჩეველი იყო და მეორეც, იდიოტების განცხადებაზე კომენტირებისგან თავს შევიკავებ. ეს განცხადება არის იდიოტიზმი და მისი ავტორიც იდიოტია", — აღნიშნა თავხელიძემ

შეგახენებთ, რომ სილ ვერმანმა, რომელიც 2001-2003 წლებში პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი იყო, განაცხადა, რომ "რუსეთ-საქართვე-

ლოს ომის სავარაუდო სცენარი ბრაიზას ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდა", ასევე "საქართველოს შეეძლო ამ ომის მოგება, მაგრამ ეს მიზანმიმართულად არ გაკეთდა". პირველი

ᲨᲡᲡ-Მ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚ-ᲦᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ %ลขซก ตรรรรรร

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელვაჩაურის პოლიციის หังกุล บึงสิสิงผู้อาริการทาง

თანამშრომლებმა, ქურდობის ფაქტზე, ორგანიზებულ-და-ნაშაულებრივი ჯგუფის წევრები – მალხაზ ბ, ბესიკ კ, ზურაბ შ. და დავით დ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ოთხივე ბრალდებული, წლების განმავლობაში ხელვაჩაურში მდებარე სამკერვალო ფაბრიკა "ბი-თი-ემ ტექსტილი"-ს დაცვის სამსახურში მუშაობდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2011 წლიდან მარტიდან 2013 წლის აპრილამდე, სამკერვალო ფაბრიკა და მის ტერიტორიაზე მდებარე სუპერმარკეტი ოცჯერ გაქურდეს. ამ დროისთვის დადგენილია, რომ ბრალდებულებმა 2 წლის განმავლობაში 15 000 ლარის ღირებულების სიგარეტი და 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთი მოიპარეს. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად, ბრალდებულების საცხოვრე-ბელი სახლების ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთების ნაწილი ამოიღეს. დაკავებულები ოცივე ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება სსკ-ს 177 (ქურდობა) მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ნიუსპრესი องวิชาติ $^{\circ}$ ชหางา $^{\circ}$ ชาติก $^{\circ}$ ติวิชาหางา อาปรับหางาน ขึ้งวิทิศาจัก

გაუფილტრავი ლუდი – ეს ყველა ლუდის მოყვარულისთვის იმდენად ნაცნობი და ჩვეულებრივი სიტყვათა შეთანხმებაა, რომ ძნელად თუ უფიქრდება ვინმე, რას ნიშნავს ეს ტერმინი ისტორიულ, მეცნიერულ და თუნდაც ტექნოლოგიურ კონტექ**ტ**სტში. ამ შემთხვევაში, როცა საქმე გაუფილტრავ ლუდს ეხება, ხშირია არასწორი აღქმა და წარმოდგენა ქართველებში, რისი მიზეზიც, ხშირად უბრალოდ ინფორმაციის არარსებო-

"ლუდი წყურვილს მშვენერებად აქცევს" – გვეუბნება უძველესი გერმანული ანდაზა... და ეს მართალიცაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გერმანული ტექნოლოგიებითა და გერმანული სიწმინდის ტრადიციით მოხარშულ ლუდს ეხება. მართალია, მეცნიერულად დამტკიცებულია და არაერთი ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევრის ნაშრომიც

ადასტურებს ამას, რომ ლუდის ხარშვა ჯერ კიდევ შუამდინარეთის ქალაქებსა და ძველ ეგვიპტეში იცოდნენ, ეს სასმელი მსოფლიო მასშტაბით პოპულარული სწორედ ევროპელი (გერმანელი, ბელგიელი, ჩეხი) მელუდეების მეცადინეობით გახდა.

დღეს მსოფლიოში, შუასაუკუნეების დროს შემუშა ვებული გერმანული სიწმინდის კანონის თანახმად, ლუდის ხარშვისთვის მხოლოდ ოთხი ინგრედიენტი – ალაო, სვია, საფუარი და წყალი – გამოიყენება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი დამზადების სპეციფიკისა და ხარშვის დროს გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ლუდი ერთადერთი სასმელია, რომელიც ყველა სახის აღწერილობას ესადაგება, დაწყებული რბილიდან მაგრამდე, ღიადან მუქამდე, ფაქიზიდან უხეშამდე, მტკიცედან ჰაეროვნამდე, არაჩვეულებრივიდან ორდინალურამდე, ელეგანტურიდან მიწიერამდე, მსუბუქიდან ძლიერამდე...


გაუფილტრავი ლუდი, რომელსაც გერმანულ ენაში სპეციალური ტერმინით – Kellerbiers – აღნიშნავენ, რაც პირდაპირ თარგმანში "სარდაფის ლუდს" ნიშნავს, ჩვეულებრივი ლაგერის ტიპის ლუდია, რომელსაც არომატი სპეციალური სვიისგან აქვს მინიჭებული. ასეთი ლუდი სხვადასხვა სიძლიერისაა და როგორც წესი, მას ალკოჰოლის საშუალო გრადუსი აქვს **5.5**-დან **6.5**-მდე. უფრო ხშირად, გაუფილტრავლუდები მუქი ქარვისფერია, ამ ფერს მათ შედარებით მუქი ფერის ალაო (ე.წ. მიუნხენური ალაო) ანიჭებს, რომელსაც მოწითალო შეფერილობა გააჩნია.

ძველად, ორიგინალურ, ანუ ნამდვილ გაუფილტრავი ლუდს გაზიანობა დიდხანს არ მიჰყვებოდა, რადგან, ის სუფრაზე, როგორც წესი, თავღია მდგომარეობაში მოჰქონდათ, ძირითადად ხის კათხებში, როდესაც გაფუების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ტრადიციული გაუფილტრავი ლუდი მუქი და მღვრიე შეფერილობით გამოირჩევა, რადგან და-

უდუღებელი ექსტრაქტი ვერ იჭერს გაზს და ლუდში შემავალი ნივთიერებები ადვილად შედის რეაქციაში ჟანგბადთან და იჟანგება.

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა აპეტაიზერ სასმელებს შორის და მისი სადილის წინ მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებულ, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ, შუშისა და თუნუქის ნაცვლად.

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა მადის გამაძლიერებელ სასმელებს შორის და მისი სადილის წინ მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებულ, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ, შუშისა და თუნუქის ნაცვლად.



ലോ **ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ "ᲝᲥᲠᲝᲡ ᲞᲐᲚᲘ**ᲢᲠᲐ



"მაგთიკომმა" და გალერეა "ვანდამ" საბავშვო სამხატვრო კონსურ-บาบ "การ์ดาบ ง้ายาง ผู้กาบ " การ์ง หารับ เกา ლები "მაგთიკლუბში" დააჯილდოვეს, აბავშვო სამხატვრო კონკურსი, მელშიც 16 წლამდე მოზარდები მონაწილეობენ რომელიც უკვე მე-10 წელია ტარდება.

აქციის ორგანიზატორების თქმით, 2013 წელი უპრეცენდენტო იყო, რადგან მასში 194 ბავშვიმონაწილეობდა, რომლებსაც გალერეა "ვანდა"სგან სამახსოვრო სიგელები და "ბალისგან" საჩუქრები გადაეცათ.

კონკურსის ჟიურიში 5 ქართველი მხატვარი იყო, რომლებსაც დაჯილდოვების ბოლოს თავიანთი ფავორიტებიც დაასახელეს. "მაგთიკომის" საზოგადოებას-

თან ურთიერთობის სამსახურის მენე**ჯერი თათული ღვინიაშვილი** აღნიშნავს, რომ ასეთი ღონისძიებები ბავშვებისთვის დიდი სტიმულია და "მაგთიკომი" მომავალშიც გააგრძელებს ამ კონკურსის პარტნიორობას.

"უკვე მე-5 წელია ამ კონკურსის სპონსორი "ბალია". ყოველწლიურად ძალიან ბევრი ბავშვი იღებდა მასში მონაწილეობას, თუმცა წელს რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. წარმოდგენილი იყო 194 ბავშვის ნამუშევარი, თითოეულ მონაწილეს "ბალისგან" სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა. ხოლო 6 გამარჯვებული, სამი ასაკობრივი ჯგუფიდან, "ბალისგან" მობილურ ტელეფონებითა და მასზე დარიცხული თანხით დავასაჩუქრეთ. არცერთი ბავშვი უსაჩუქროდ არ რჩება. ასეთი კონკურსები ბავშვებისთვის დიდი სტიმულია და ჩვენ მომავალშიც ვიქნებით მსგავსი ლონისძიებების პარტნიორები", – აღნიშნა ღვინიაშვილმა.

კონკურს მონაწილეთა სიმრავლის გარდა პრიზიორთა სიუხვეც ახასიათებდა. მისი 55 მონაწილე სხვადასხვა კატეგორიებში დააჯილდოვეს. ნომინაციებიც უხვად იყო: საუკეთესო პეიზაჟი, საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი, საუკეთესო ანიმალისტური ნამუშევარი, საუკეთესო კომპოზიცია, საუკეთესო გრაფიკული ნამუშევარი, ორიგინალური ტექნიკა, საუკეთესო აკვარელი, საუკეთესო კოლაჟი და საუკეთესო ნატურ-

ასევე ჟიურის თითოეულმა წევრმა თავიანთი ფავორიტები დაასახელეს. ჟიურის თავმჯდომარის მამია მალაზონიას ფავორიტი სალომე საზანდრიშვილი გახდა. გალერეა "ვანდა"-ს სიმპატიად კი **სოფო აბესაძე, მიხეილ** ოსიპოვი, გიორგი ბატიაშვილი და თამ**თა დურული** დასახელდნენ

კონკურსის მთავარ გამარჯვებულებს ნანა მათითაიშვილს, ელენე ხვიჩიას, მარია ალექსანდრია მარდრუგინას, მარიამ გვენეტაძეს, შო-რენა ჩაჩანიძეს, ნინი ჩქიმიკოჩას "მაგთიკომმა" მობილური ტელეფონები გადასცა.

გალერეა "ვანდას" ხელმძღვა-ნელი და კონკურსის ორგანიზატორი **ვანდა მუჯირი** აცხადებს, რომ კონკურსი "ოქროს პალიტრა" მომავალ წელსაც ჩატარდება.

"უკვე მე-10 წელია, რაც ეს კონკურსი ტარდება და უკვე ერთგვარ ტრადიციად იქცა. 2004 წელს დავაფუძნეთ "ოქროს პალიტრა" და ყოველწლიურად ვაჯილდოვებთ გამარ-ჯვებულებს. მე-5 წელია "ბალი" გვასპონსორებს და გამარჯვებულებსაც მთავარი პრიზები "ბალისგან" გადაეცემათ. წელს კონკურსში მონაწილეობა 194-მა ბავშვმა მიიღო და არცერთი ბავშვი უსაჩუქროდ არ დარჩენილა. გვქონდა სამი ასაკობრივი ჯგუფი, რო მელშიც ორ-ორი მთავარი პრიზიორი დასახელდა. ასაკობრივი ჯგუფები იყო 5-დან 7 წლამდე, 8-დან 11-მდე და 11-დან 16 წლამდე. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ წელს ყველაზე პატარა მონაწილეც გვყავდა, სამი წლის **ნინო** კურდღელია.

12 წლის **სოფიო ჭელიძე,** რომელიც კონკურსში პირველად მონაწი-ლეობდა ამბობს, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მის სამხატვრო კარიერაში ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

"სხვა დროსაც მიმიღია მონა-წილეობა მსგავს კონკურსებში, მაგრამ "ოქროს პალიტრაში" პირველად მოვიტანე ჩემი ნამუშევარი. მართალია, ვერ გავიმარჯვე, თუმცა მონაწილეობაც ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩემს კარიერაში, რადგან ვაპირებ მხატვარი კონკურსის მთავარი პრიზის მფლობელი **შორენა ჩაჩანიძე:** "უკვე **3** წელია ამ კონკურსში ვმონაწილეობ. შარშან საუკეთესო კოლაჟის ნომინაციაშიც გავიმარჯვე. თუმცა წელს განსაკუთრებულად გამეხარდა გამარჯვება, რადგან "ბალისგან" საჩუქრად მობილური ტელეფონი მივიღე".

კიდევ ერთი გამარჯვებული 14 წლის **ნინი ჩქიმიკოჩა,** რომელსაც "ბალისგან" საჩუქრად მობილური ტელეფონი და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა ამპობს, რომ მსგავს კონკურსებში მონაწილეობა სხვა დროსაც მიუღია, თუმცა გამარჯვებული არას-

დროს ყოფილა. "წინა წლებში რამდენიმე კონკურსში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ არასოდეს გამიმარჯვია. ახლა პირველად გავხდი გამარჯვებული და ძალიან მიხარია. ხატვაზე **23-**ე სკოლა-ปีก ตุงรูตุกรูงศ์ ตุง รูตุกปุศักดิ์, หึกปีก รูงศ์กერაც ამ მიმართულებით გავაგრძელო. უკვე გადავწყვიტე, რომ მომავალ წელსაც მივილო "ოქროს პალიტ-რაში" მონაწილეობა. ჩემთვის აქ გამარჯვება ძალიან დიდი სტიმულია", აღნიშნავს ნინი ჩქიმიკოჩა.

ერთ-ერთი პატარა მონაწილე 8 წლის **ილია აბრამია** ამბობს, რომ თვითნასწავლი მხატვარია და ასეთ კონკურსში მონაწილეობა პირველად მიიღო:

"ასეთ კონკურსში პირველად მივიღე მონაწილეობა და საუკეთესო კომპოზიციის ნომინაციაში გავხდი გამარჯვებული. ძალიან მიხარია, რადგან "ბალისგან" საჩუქრები მივიღე. მომავალ წელსაც მოვიტან ჩემს ნამუშევრებს. იმედი მაქვს, კიდევ გავიმარჯვებ"

უნდა აღინიშნოს, რომ გალერეა "ვანდა" მომავალ წელსაც აპირებს კონკურს "ოქროს პალიტრის" ჩატარებას, "მაგთიკომი" კი კონკურსის პარტნიორი გაისადაც იქნება.

ანა გაჩნაძე





3NE ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ ᲐᲒᲕᲘᲡ&ᲝᲡ ᲝᲛᲘ

____ თამარ ნინიძე

მიხელ სააკაშვილი კედელთან არის მიმწყვდეული, მას გაუხსენეს ყველაზე დიდი და სერიოზული შეცდომა, რომელშიც მისი როლი საფუძვლიანად რომ იქნეს შესწავლილი, ის დამნაშავედაც შეიძლება გამოცხადდეს. ახლა მხოლოდ ეჭვმიტანილია, საქმე ისევ აგვისტოს ომს ეხება.

-ის, თუ რა სიმძაფრით მიიღეს ნაციონალებმა

მმართველი ძალის მიერ ინიცირებული გამოძიების დაწყების შესაძლებლობა, კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ნაციონალები სერიოზულად არიან შეშინებული და დაზაფრული. ყველაზე მეტად რისიც ეშინოდა სააკაშვილს, ეს არის ყველა იმ ფარული ქმედების მხილება და გარკვევა, რამაც 2008 წლის აგვისტოს ომი მოიტანა შედეგად.

ამ დღეებში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის, კობა დავითაშვილის მოსაზრება მოვისმინეთ, ის თანახმაა, გაითვალისწინოს ნაცმოძრაობის სურვილი და შეჩერდეს აგვისტოს ომის გამოძიება, თუმცა ამ შემთხვევაში პროცესი ჰააგაში გადაინაცვლებს, რითაც ქვეყნის იმიჯს შეიძლება უფრო დიდი ზიანი მიად-

გეს. თუ ქვეყნის შიგნით გამოძიება არ იწყება, მაშინ მასში ჰააგის ტრიბუნალი ერთვება.

ომის გამოძიების აუცილებლობაზე ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც საუბრობს. მას მიაჩნია, რომ უნდა გაირკვევს ბევრი საეჭვო გარემოება, ერთ-ერთი კი ის არის, რომ დაღუპული ჯარისკაცების ცხედრები მიტოვებული იყო ოთხი დღის განმავლობა-ปีก დง คัศป งคัง งูงตกับการทับ-ปังผู้คกงคี่ปุ๋กป งักคงอก ถึงคฎვა, ვერ მოხდებოდა გმირების ცხედრების დაკრძალვა. ედუარდ შევარდნაძე კიდევ ერთ შემზარავ სა-

ეჭვო გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, ის სვამს კითხვას, მართალია თუ არა, რომ ქართულმა მხარემ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ მოახდინა სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია, რათა რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო, რომ ევ-როპის წინაშე რუსეთის მხრიდან მოწყობილ გენოციდზე ელაპარაკა. კითხვები სააკაშვილის მიმართ უამრავია, ასეთი შინაარსის საკითხები კი პასუხს მოითხოვს.

სააკაშვილის მეთაურობით მთელი ნაცმოძრაობის ელიტა ერთხმად აპროტესტებს გამოძიების დაწყებას და სააკაშვილის დაკითხვას. ექსპერტთა ერთ ნაწილში არის ეჭვი, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2ზე ნინო შუბლაძესთან სტუმრობისას სააკაშვილმა ისეთი განცხადებები გააკეთა, რომელიც პოლიტიკოსმა, მით უმეტეს, პრეზიდენტმა არ უნდა გააკეთოს, მან ამერიკის ადმინისტრაციის საიდუმლო გეგმა გათქვა როკის გვირაბის აფეთქების თაობაზე. ეს და სხვა მსგავსი უცნაური განცხადებები ალბათ იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის ფსიქონევროლოგიური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მის დაკითხვას აზრი არა აქვს და უფრო მეტად უნდა დაიკითხონ მისი გარემოცვის წევრები, ბოკერია, უგულავა, კეზერაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნიბურჯანაძე სვამს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც რჩევას აძლევდნენ უმაღლეს მთა-

და ასევე შეფასდება ყველა-ფერი, სრულყოფილად გაე-ცემა კითხვებს პასუხი. ბურჯანაძე აცხადებს, რომ ჰააგის ტრიბუნალს უნდა გადაეცეს გამოძიების შედეგად მოეთხოვოს პასუხი ყველა იმ ადამიანს, ვისაც კონკრეტული დანაშაული მიუძღვის. კიდევ ერთი რამ: ნაცმოძრაობა განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რა საკითხის ყველა-ზე მეტად პოლიტიზირებაც სურს, მაგალითად, ვინ და-იწყო ომი 2008 წლის აგვისტოში. საინტერესო კითხვა დასვა ბურჯანაძემ — რისი ეშინიათ სააკაშვილსა და მის გარემოცვას, თუკი ისი-ნი მოქმედებდნენ მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, აკეთებდნენ ყველაფერს საკუთარი

ქვეყნის დასაცავად, მაშინ რატომ არის ასეთი ისტერიკა ნაცმოძრაობაში ამ გამოძიებასთან დაკავშირებით. ბურჯანაძე საინტერესო ახსნა-განმარტებას მისცემს კომისიას და ბევრ საინტერესო ფაქტს გაიხსე-ნებს, ერთ-ერთზე მან ლია ეთერში უკვე ისაუბრა, როგორ გააფრთხილა ჯერ კიდევ სამ აგვისტოს საა-კაშვილი, რომ ჩვენი ომში ჩართვა — ეს იქნებოდა კატასტროფა ქვეყნისთვის, აპრილში პუტინთან სააკაშვილის საუბარიც გაახსენა, როცა პუტინმა უთხრა მას, რომ ომის დაწყების და თუნდაც ერთი რუსი სამშვიდობოს დაღუპვას აუცილებლად გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვებოდა, აგვისტოს ომამდე ივნისში ბურჯანაძე შეერთებულ შტატებში კონდოლიზა რაისს შეხვდა, არავითარ შემთხვევაში არ წამოეგოთ პრვოკაციასო, ასეთი იყო მაშინდელი სახელმწიფო მდივნის გაფრთხილება. ამერიკელებმა ღია ტექ-სტით უთხრეს სააკაშვილს, რომ ამერიკა ამ ომში საქართველოს დასაცავად ვერ ჩაებმებოდა, ბურჯანაძე დღეს ამბობს, რომ სააკაშვილმა ამ გაფრთხილებებს ყურადღება არ მიაქცია.

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე მი-იჩნევს, რომ სიმართლის დადგენამ არ შეიძლება ქვეყნის იმიჯი დააზარალოს, ეს მხოლოდ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების იმიჯს შელახავს. თუ აქამდე სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა და სხვები მშვიდად იყვნენ იმის გამო, რომ პროკურატურა მათ მტკიცებულებებს ევრ უდებს წინ, ახლა ნაცმორაობის ელიტა საგრძნობლად შეირყა, სააკაშვილი პირდაპირ შეიძლება ვერ დადანაშაულდეს აფრასიძეების ოჯახის განადგურების ზეპირი ბრძანების გაცემის გამო, მაგრამ ის ვერ გაექცევა მარლმსა ჯულების აღსრულებას აგვისტოს ომის საკითხებთან დაკავშირებით. ბურჯანაძე ითხოვს, ამოიღოს გამოძიებამ ის განცხადებები, რასაც იმ დღეებში აკეთებდნენ ქართველი სამშვიდობოების მეთაური ყურაშვილი და სააკაშვილი, რომ საქართველომ დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. როცა სააკაშვილს ბურჯანაძემ დაურეკა და კიდევ ერთხელ გააფრთხილა, პასუხად მიიღო, ხვალ, დილით ცხინვალში ერთად ვიზეიმებთო. კითხვები უამრავია კოდორის ხეობის ჩაბარების თაობაზეც. საინტერესოა, რომ საზოგა-დოებამ გაიგოს, ვინ გასცა ბრძანება კოდორის ხეობის დატოვების შესახებ და რატომ გაიცა ეს ბრძანება.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი თვლის, რომ ერთადერთი შესაძლებლობა, რომ პირდაპირი დიალოგი დაიწყოს აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის არის ნდობის მოპოვება, ეს კი მხოლოდ იმით მოიპოვება, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. პრაგმატული პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ დღეს არსებული ვითარება რუსეთის მხრიდან აღიარების პოლიტიკისა შეიცვალოს. სტაბილურობა და მშვიდობა კავკასიაში ეს ის თემაა, რომელშიც რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ემთხვევა და აქ უნდა დაიწყოს სწორი დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვა.

კახა ლომაიამ დაადასტურა, რომ საქართველო არის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოსი, რუსეთი კი არ არის მისი წევრი. ლომაია პასუხობს ალასანიას, რომ სამხედრო ანალიზი ამ ომისა თურმე არსებობს, რომელიც გაკეთდა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მონაწი-


რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვიაცხადებს, რომ ომი რუსეთმა დაიწყო და ის ცდილობდა, ამ ომში ჩაეთრია საქართველო. ამიტომ კარგი იქნება, თუ ნაცმოძრაობა აღიარებს, რომ მისი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ამ ომში და პროვოკაციაში ჩაბმა და უამრავი ადამიანის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება.

"საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ხალხს მორალური უფლება აღარ აქვს პოლიტიკური აქტიუ-რობისა" – მიაჩნია ზაქარეიშვილს.

დავით დარჩიაშვილი ან მართლა იდეოლოგიურად დარწმუნებულია, რომ ივანიშვილის ხელისუფ ლება პრორუსულია და მას შულავერის კომიტეტს ადარებს, ან დარჩიაშვილი სააკაშვილის ნაცელიტის ერთ-ერთი დამსახურებული წევრია, რომელიც ცხრაწლიანი მმართველობის შეფასებას გვერდს შეგნებულად უვლის. ამიტომ აგვისტოს ომის გამოძიებას ის სწორედ შულავერის საოკუპაციო კომიტეტის ქმედებებს ადარებს

ვინაიდან აგვისტოს ომის პროცესები მრავალმხრივ გამოძიებას საჭიროებს, პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ გამოძიების საქმეში რამდენიმე უწყება ჩაერთვება. თითოეულს თავისი კონკრეტული საქმე ექნება. გამოძიების შედეგები კი საქართველოს მიმართ ნდობას მსოფლიოში გაზრდის, რაც საბოლოოდ ქვეყანას მდგრადი განვითარების კალაპოტში ჩა-

ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ეს გამოძიება უნდა იყოს მოქმედი ხელისუფლებისთვის პრინციპული საკითხი და გამოძიება ისე უნდა წარიმართოს, რომ მას შანტაჟის სახე არ მიეცეს.



პოლიტიკური პარტია "დემოკრატიული მოძრაობა-ერ-



თიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მიხეილ საა-კაშვილს ტელედებატებში იწვევს.

ამის შესახებ განცხადება ბურჯანაძემ მეცხ^ოე არხის პირდაპირ ეთერში გააკეთა. მისი თქმით, ის მზად არის

ნებისმიერ დროს დაჯდეს დებატებში ქვეყნის პირველ პირთან. ,მე ჯერ კიდევ 2008 და

2009 წელს განვაცხადე, რომ მზად ვარ პრეზიდენტთან ერთად ტელედებატებში მივიღო მონაწილეობა და ნებისმიერ პირდაპირ ეთერში, ნებისმიერ შეკითხვას გავცე პასუხი. შე-კითხვებს პასუხი სააკაშვილმაც გასცეს და საზოგადოება

შეძლებს გაარკვიოს ვინ ცრუობს, ვინ ამბობს სიმართლეს, ვინ

ემსახურებოდა ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესებს და ვინ მხოლოდ საკუთარ პრეზიდენტობას და საკუთარი გუნდის გაძლიერებას. რაც შეეხება პრეზიდენტის ისტერიულ ბრალდებებს ჩემთან მიმართეგაში, ამასთან დაკავშირებით ვურჩევდი, რომ წაიკითხოს გივი თარგამაძის ინტერვიუ, სადაც ბურჯანაძე კი არა, გივი თარგამაძე ყვებოდა, თუ როგორ სთავაზობდა ის რუს გენერლებს სტალინის ძეგლის, ანუ გორის ცენტრის დაბომბვისთვის 50000 დოლარს. მე

სწორედ ამ ფაქტის გამოძიება მოვითხოვე და იმედი მაქვს, რომ ეს ფაქტი აუცილებლად იქნება გამოძიებული, ისევე, როგორც, იმედი მაქვს, რომ გამოძიებული იქნება მთლიანად 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები, რისიც ასე ეშინია საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს" – განაცხადა ბურჯა-. ნიუსპრესი

9-116 "ᲥᲣሐዊᲣᲚበ **Ր**ՆՑՅՂԿԱՐ, **ᲬᲔ**ᲕᲠᲔᲑᲘ **ღ**ააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ე.წ. "ქურდული სამ-ყარო"-ს წევრები, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული კახა შ. და 1974 ადებული აკაკი აკავეს.

სამინისტროს პრესსამსა ხურის ინფორმაციით, ორივე ბრალდებული "ქურდულ სამყაროს" წევრობას აღიარებს. ისინი ე. წ. "ქურდული" წესების დაც-ვით მოწყობილი გარჩევებისას, დაშინებისა და მუქარის გზით, მოქალაქეებს სხვადასხვა ოდენობის თანხას სძალავდნენ.

სამართალდამცველებმა კახა შ. და აკაკი ბ., ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

ᲗᲔᲐ ᲗᲣᲗᲑᲔᲠᲘᲫᲔ: "ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲦᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲘᲐ, **ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ**

3

შორენა გონგლაძე

რამდენიმე დღის წინ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის დათა ახალაიას სახელით სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებას, სადაც ახალაია მისი ოჯახის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში ვანო მერაბიშვილს ადანაშაულებს, თუთბერიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურების კვალს ხედავს. თუთბერიძის ინფორმაციით, აღნიშნულ განცხადებასთან დათა ახალაიას საერთო არაფერი აქვს, ამასთან დაკავშირებით კი ინფორმაციას უკეთესად შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს.

– ჩემი ინფორმაციით, არანაირი განცხადება დათა ახალაიას არ გაუკეთებია, რაც შეეხება განცხადების შინაარსს, იქ, რაზეც განცხადებაშია საუბარი, თუ ეს არის სიმართლესთან ახლოს, ამ შემთხვევაში ალბათ უკეთ ეცოდინებათ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სპეცსამსახურებს და შესაძლებელია, რომ მათი მხრიდან იყოს ეს გაკეთებული. რადგანაც, ეს რომ ყოფილიყო გავრცელებული 19 აპრილის შემდეგ, ამ შემთხვევაში უფრო მეტი ვარაუდი იქნებოდა იმისა, რომ ეს არ იქნებოდა ხელისუფლების ინტერესში, მაგრამ, როცა ეს განცხადება გავრცელდა ამ დაანონსებული აქციის წინ, ეს გარკვეულ ეჭვებს იწვევს. მით უმეტეს, რომ არ კეთდება არანაირი განცხადება არც დათა ახალაიას და არც ოჯახის წევრების მხრიდან. ერთადერთი, ვინც ამაზე ისაუბრა, ეს იყო ადვოკატი. თუმცა, მიმაჩნია, რომ ადვოკატის პრეროგატივა არ არის მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის განცხადებაზე კომენტირება, – აცხადებს თუთბერიძე.

სოციალურ ქსელში აღნიშნული განცხადების გავრცელების პარალელურად, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია როლანდ ახალაიას მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვებასთან დაკავშირებით, რაც თუთ-

ბერიძემ ასევე უარყო. – რაც შეეხება როლანდ ახალაიას მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვებასთან გავრცელებულ ინფორმაციას, ეს არის ჭორი და მოვუწოდებ ჟურნალის-



ტებს, რომ კახა მიქაიასნაირი ადამიანების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე ჭორებს ნუნააგებენ. მენეს ინფორმაცია გადავამოწმე და მსგავსი რამ არ დადასტურდა. როლანდ ახალაია ამ წუთისთვისაც არის ნაციონალური მოძრაობის წევრი, – აცხადებს თუთბერიძე.

თეა თუთბერიძეს კითხვები აქვს როგორც ხელი-სუფლებასთან, ასევე "ნაციონალური მოძრაობის" გე-ნერალურ მდივან ვანო მერაბიშვილთანაც. მისი თქმით, დღეს ჩვენებებს ახალაიას წინააღმდეგ იძლევა ზურა არსოშვილი, მერაბიშვილის მოადგილე და ის ხალხი, ვინც მერაბიშვილის ინტერესების გამტარებელია.

თეა თუთბერიძე ვარაუდობს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა ბაჩო ახალაია გა წირეს. როგორც თუთბერიძე აცხადებს, ახალაია ერთადერთი მინისტრია, რომელიც წინა ხელისუფლებიდან დღეს ციხეში ზის.

ახალაია პროკურატურას არასდროს გაურიგდება. ამის სურვილი შეიძლება ჰქონდეს კბილაშვილსა და წულუკიანს, მაგრამ ეს გამორიცხულია. პროკურა-ტურასთან გარიგებულები არიან ის ადამიანები, რომლებიც დღეს ჩვენებებს იძლევიან ახალაიას წინააღმდეგ. მერაბიშვილის მოადგილე შალვა ჯანაშვილი

რომ იწყებს ჩვენების მიცემას, ამაზე კითხვები არსებობს. იცით, რომ ბაჩო ახალაია წინა ხელისუფლებიდან არის ერთადერთი მინისტრი, რომელიც დღეს ციხეში ზის. სამწუხაროდ, არ მომისმენია ბატონი ვაიოს არც ერთი განცხადება მის დასაცავად; სამწუხაროდ, ასევე არ მომისმენია უმრავლესობის ბევრი წარმომადგენლის განცხადება. კითხვებს ბადებს, რატომ აძლევენ ბაჩო ახალიას წინააღმდეგ ჩვენებებს თუნდაც ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილეები, რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ ბაჩო ახალიას წრიდან, მისი გარემოცვიდან ისეთი ადამიანების მო-ძებნა, რომლებიც ჩვენებას მისცემდნენ, მაგალითად, ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ. ბევრი რამეა გაუგებარი. კითხვები ჩნდება ჩვეულებრივ მოქალაქეებში. მათ შორის, მეც მეკითხებიან სასამართლო პროცესებზე, თუ რატომ არ დადიან სასამართლოში "ნაციო ნალური მოძრაობის" ლიდერები, რატომ არ მოდის იგივე ვანო მერაბიშვილი. ძალიან ბევრ კითხვას მისვამენ მე პირადად და მეც ვერ ვცემ მათ ამაზე პასუხს, ანუ გამოვიდა, რომ განირეს ეს ადამიანი, თუ კიდევ რამე სხვა არის ამ ყველაფრის უკან", – აცხადებს თუთბერიძე.

იუთბერიძე 19 აპრილს დაანონსებულ აქციასაც ეხმაურება და აცხადებს, რომ პრეზიდენტის გამოსვლამ ბევრი კითხვა გააჩნია. როგორც ჩანს, მისი თქმით, 19 აპრილის აქციას ისეთი ნათელი მიზნები არ აქვს, როგორზეც თავის დროზე იყო საუბარი. თუთბერიძის განცხადებით, თავიდან საუბარი იყო იმაზე, რომ ამ აქციაზე პრეზიდენტობის კანდიდატი დასახელდებო-

პრეზიდენტის გუშინდელმა გამოსვლამ ბევრი კითხვა გააჩინა. როგორც ჩანს, 19 აპრილის აქციაზე მთლად ნათელი მიზნები არ არის, თუმცა ამაზე საუბარი 19-ის შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. იყო საუბარი იმაზე, რომ ამ აქციაზე დასახელდებოდა "ნაციონალირი მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი. ลูუฮิกธ์ .in პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს პრაიმერის გზით მოხდება. მე მივალ ამ აქციაზე, რადგანაც მიმაჩნია, რომ დღეს ხელისუფლების სათავეში არის ანტისახელმწიფოებრივი ძალა", – აცხადებს თუთბერიძე.

"ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜᲒᲝ ᲙᲐᲜᲦᲘᲦᲐᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი შესაძლოა, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იყოს. როგორც ფორ.გე-ს საპარლამენტო კულუარებში განუცხადეს, მარგველაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ნდობითა და კეთილ-განწყობით სარგებლობს, რომელსაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში საპრეზიდენტო კანდიდატადაც მოიაზრებენ.

Ազջան

მმართველი ძალის საპრეზიდენტო კანდიდატი იქ ნება თუ არა განათლების მინისტრი, ამ ინფორმაციას უმრავლესობის ლიდერები არც ადასტურებენ, არც კატეგორიულად უარყოფენ და ამბობენ, რომ გიორგი მარგველაშვილი ღირსეული პიროვნებაა, რომლის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.



როგორც ფორ.გე-ს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ განუცხადა, კოალიციაში საპრეზიდენტო კანდიდატ-თან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებუ-ლი არ არის.

მისი თქმით, საპრეზიდენტო კანდიდა ტის შერჩევა პარტიებს შორის წარმოებული კონსულტაციების შედეგად მოხდება.

[°],,საპრეზიდენტო კანდიდატს პრემიერ-მი ნისტრი დაასახელებს და წინასწარი პროგნოზების გაკეთება - თუ ვინ იქნება კანდიდატი, ეს บธิตศก งศ งศกบ้", - องป้ძენს დეპუტატი.

. პარლამენტის

ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება სავარაუდოდ, მაისში მოხდება

"უმრავლესობის შეხვედრაზე ითქვა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი მაისში გამოკვეთილი უნდა გვყავდეს. შესაძლოა, ეს კანდიდატი იყოს მარგველაშვილიც, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ის იქნება ძალიან ღირსეული ადამიანი, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები იქნე-ბა, ხოლო კოალიციისთვის ძალიან ძვირფასი", - განუცხადა ფორ.გე-ს აბაშიძემ

აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილს "საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატად" მიიჩნევს უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძეც.

მისი თქმით, შესაძლოა, კანდიდატის დასახელება ივლისამდეც არ მოხდეს, მაგრამ კოალიცია ერთობლივ პოზიციაზე შეჯერდება და არჩევნებზე ერთი კანდიდატით წარდგება

"ეს გადაწყვეტილი საკითხი არ არის, რადგან რამდენიმე კანდიდატი სახელდებოდა. ყველა კანდიდატი საინტერესო და ღირსეულია, მაგრამ კაცურად და ადამიანურად გიორგი ძალიან მიყვარს, რომელიც ძალიან განათლებული ადამიანი და ქვეყნის ღირსეული შვილია. ამასთან, გიორგი ძალიან ერუდირებული პიროვნებაა. მიმაჩნია, რომ ერთადერთი საუკეთესო კანდიდატი გიორგი იქნება და თუ ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მას ორივე ხელით მხარს დავუჭერ და ვიტყვი, რომ ის პრეზიდენტობის ღირსია, თუმცა, ჩემი სიმპატიით არაფერი წყდება", - განუცხადა ფორ.გე-ს საგანელიძემ.

რაც შეხება იმას, თუ ვინ იქნება "ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატი, როგორც ფორ.გე-ს კულუარულ საუბარში უმცირესობის ერთ-ერ თმა ლიდერმა განუცხადა, პარტიაში ვანო მერაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობაც განიხილება, თუმ ცა, უმცირესობა საბოლოო გადაწყვეტილებას შიდა პრაიმერის შედეგად მიიღებს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას განცხადებით, სა-ชิ้ელิฮิธิกัფო ๊ დაცვის სპეციალური სამსახურის ฮิ๊กეห ๋ დახარჯული ყველა თეთრი კანონიერია და არავის არაფე[.] რი მიუთვისებია.

"სახელმწიფო დაცვის სამსახური უკვე ორი ათ-წლეულია, რაც არსებობს. ვამაყობ იმით, რომ ამ სამსახურში ვმუშაობდი, ვიცავდი ქვეყანას და ვემსახურებო-დი საქართველოს. მინდა ვთქვა, რომ ინფორმაცია ამ სამსახურის შესახებ უკვე კარგა ხანია, ახალი მთავრობის ხელშია და ამ საბუთებით ამ ფორმით მანიპულირება და გაუგებარი ქსერო-ასლების ფრიალი სამწუხაროდ, დღეს გახდა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. ყველა გაწეული ხარჯი, რასაც სამსახური ამდენი ხნის განმავლობში ეწეოდა, არის კანონიერი. არც ერთი თეთრი არ อิก ๆ อาการา ხებს, რომელიც იყო არამიზნობრივად დახარჯული. ეს ყველაფერი კარგს არ მოუტანს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პრესტიჟს", – განუცხადა ჟურნალისტებს ჯანაშიაშ.

შეგახსენებთ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან არამიზნობრივად გახარჯული თანხების შესახებ ოფიციალური დოკუმენტაცია მთავარ პროკურატურაზე დაყრდნობით გუშინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირი-

ნა იმერლიშვილმა გაავრცელა. მედიანიუსი

6767 77797931: "P7777331ZU 793UP9UP

9 ნონა ცაბაძე

กิดของสากา **უფლეგათაღამცველ 6767 7777979700076**

– ქალბატონო ნანა, რატომ გადაიდო ის ღონისძიება, რომელიც თქვენი და პოლიტპატიმრე-ბის ორგანიზებით სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო, რა გახდა ამის მიზეზი?

– ამისი მიზეზი გახდა 19 აპრილის აქცია, რომელსაც მისცეს ისეთი სახე, თითქოს ჩვენი ღონისძიება ტარდებოდა იმიტომ, რომ იქ რაღაცა პროვოკაცია მომხდარიყო. მართალია ამისი არანაირი საფუძველი არ არსებობდა და ალბათ ნაციონალებსაც გაუჭირდებოდათ იმის დასაბუთება, რომ თითქოს 14 აპრილს აწეული მუხტით, იქ ვიღაცა მიიჭრა და იქ რა-ตุงผูง ผูงถึงชื่อ ขู่ คุก หึ่งกผูกถึง. ชื่อลูრამ გამომდინარე იმ რვა თებერვლიდან, რომელიც იყო ნაციონალებისგან პროვოცირებული და მერე სამწუხაროდ შინაგან საქმე-จัง บังอิกธิกบัญศัพท์อิ ซุง ลูงอิพปกฏ์สังმაც, უფრო ჩვენი მხარის გამტყუნება დაიწყო და არა იმ რეალური პროვოკატორებისა, ამიტომ შევეცადეთ, რომ თავი აგვერიდებინა ასეთი გაუგებრობისთვის და ჩვენ გვინდა ეს თარიღი გადავი-ტანოთ მას მერე, რაც 19 რიცხვი ჩაივლის და იმედია, მშვიდობიანად ჩაივლის.

– ხვალ უკვე 19 აპრილია, რას ელოდებით ამ დღეს, ქალბატონო ნანა? ვხედავთ, როგორი დაპირისპირება დაიწყო ნაციონალებში, თქვენი აზრით, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? იცით, მთელი ამ ხნის მან-

ძილზე, ნაციონალური მოძრაობა, ანუ პირველი ოქტომბრიდან დღემდე, თავის არსებობას ინარჩუნებდა პიარით. რომ აი, ჩვენ ძლიერები ვართ, ჩვენ ისევ ძალაუფლება გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია უკან დაბრუნება და ასე შემდეგ. აი ამ პიარით ინარჩუნებდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იმიჯს, გარ-კვეულწილად შიშსაც საზოგადოებაში. ის, რომ სამი-ოთხი თვით ადრე დააანონსეს, რომ 19 აპრილს ატარებდნენ აქციას, გარკვეულ წილად ამითიც ინარჩუნებდნენ იმ მოსალოდნელ გარდაუვალ პროცესს, რასაც ჰქვია ნაციონალური მოძრაობის დაშლა. ეს არ იყო ტიპური პარტია, გაერთიანება, აქ იყო ინტერესები. არანაირ იდეაზე არ იყო აგებული ეს პარტია, აქ იყო პირად ინტერესებზე დაფუძნებული კეთილდღეობა და ამისთვის იყო ეს ხალხი გაერთიანებული. როგორც კი ამ კეთილდღეობის გარანტიები შესუსტდებოდა და მას გაქრობა დაემუქრებოდა, ბუნებრივია, ეს ორგანიზმი, ეს პარტია დაიშლებოდა. ამიტომაც ცრუ პიარით ინარჩუნებდა ნაციონალური მოძრაობა არჩევნების მერე თავის არსებობას.

– მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და სააკაშვილს შეეზღუდა უფლებები, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ დაიწყო დაშლა ამ მოძრაო-306.

— კი, გასაგებია, რომ კონ-სტიტუციამ შეასრულა თავისი როლი და მართლაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა ეს განცდა, რომ აი, ისინი უკვე სუსტები არიან, მაგრამ ასევე დიდ ნაწილში, ცრუ პიარით, ნაციონალური მოძრაობა მაინც ახერხებდა იმ მითის შენარჩუნებას, რომ ისინი ძლიერები არიან. რაც უფრო მივუახლოვდით 19 რიცხვს და უკვე იციან, რომ დღე-დღეზე გახ-დება ნათელი ის აბსურდი, რასაც ემყარებოდა პირველი ოქტობრის მერე მათი ერთობა და უკვე საქმეში ჩახედულმა ნაციონალებმაც კარგად იციან, ვის ელიან, რას ელიან და არანაირი მოლოდინები მათ ამ მიტინგისგან არ შეიძლება ჰქონდეთ, ამიტომ ზოგიერთებმა დაასწრეს მოვლენების განვითარებას, რომ შემდგომ გაბითურებულებს რომ არ გაეკეთებინათ განცხადებები, როდესაც დაინახავ-

დნენ, იქ არავინ არ მივიდა და დარჩნენ ერთმანეთის შემყურენი. ამიტომ დაასწრეს ამ მოვლენას რამდენიმე დღით და ახალაიებმა უკვე ცადეს, სხვა ნავში გადმოხტომას ვერ ვიტყვი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დაიწყეს უკვე ერთმანეთის მხილება.

– გაემიჯნენ ვანო მერაბიშვილს?

– მათ შორის დაპირისპირება ძალიან დიდი ხანია, რაც არის. გახსოვთ, ალბათ, როდესაც ციხის კადრები გავრცელდა ტე-ლევიზიით, მაშინვე ითქვა, რომ ამ კადრების გამოჩენა, ეს იყო ახალაიას და ვანო მერაბიშვილის დაპირისპირების შედეგი. ეს მაშინვე ითქვა. მათ შორის რომ დაპირისპირება იყო, ეს არახალი თემაა, უბრალოდ, ამას ნაციონალური მოძრაობა ამ დაპირისპირებას ფუთავდა, ყველანა-

ირად ზღუდავდა ამ ინფორმაციის გავრცელებას. ახლა უკვე, როცა დასაკარგი აღარაფერი აქვთ, განსაკუთრებით კი ახალაიების მხარეს, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც ციხეში ზის, ბუნებრივია, ეს გასკდა და გასკდა განსაკუთრებით 19 აპრილის წინ და ალაპარაკდნენ იმ რეალობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა წლების მანძილზე და რასაც ასე გულდასმით მალავდნენ.

– ქალბატონო ნანა, ახალაიები ახალ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენო, მათ შორის გარიგება მოხდაო... ასეთი განცხადებები უკვე გვესმის ნაციონალებისგან. თქვენ რამდენად დაუშვებთ იმას, რომ ხელისუფლება ลงลูกตุง งชงตางกงชตงช์ งงลูปิกศาชา და რაიმე სახის გარიგება შესთა-

– მე არ მინდა იმის დაჯერება, რომ დღევანდელი ხელისუფლება ასეთ კრიმინალებთან რაღაცა სახის გარიგებაზე მიდის. სხვა არის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვთქვათ, რაღაც ინფორმაციების მოპოვების სურვილი ჰქონდეს დღევანდელ ხელი-სუფლებას, იმიტომ, რომ დღეს ძალიან კარგია, რომ ადამიანების დაჭერა, დაპატიმრება და მათი გასამართლება არ ხდება ერთი კაცის ნება-სურვილით, ეს უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და არა ვიღაცის ახირებაზე. ეს ძალიან კარგია და როდესაც ასეთი მიდგომა აქვთ, ბუნებრივია, საგამოძიებო ორგანოებს სჭირდებათ ინფორმაციები, რის გამო შეიძლება იქნეს პირი დაჭერილი, დაპატიმრებული და გასამართლებული. თუ ამ მტკიცებულებების მოპოვებისთვის, დღეს ხელისუფლება დგამს გარკვეულ ნაბიჯებს, ეს კარგია, მაგრამ ეს ნაბიჯები არ უნდა გადავიდეს იმაში, რომ ისეთი სერიოზული კრიმინალები, როგორიც არიან ახალაიების კლანი და მერაბიშვილი, ეს ადამიანები დარჩნენ დაუსჯელნი, იმის გამო, რომ მათ ითანამშრომლეს გამოძიებასთან. ითანამშრომლებენ თუ არ ითანამშრომლებენ, გამოძიება ვალდებულია გახსნას ეს დანაშაული და ყველას თავისი საკადრისი მიუსაჯოს. თუმცა კიდევ ვიმეორებ, თუ ამაში ხელშეწყობა იქნება თვითონ ამ კრიშინალების მხრიდან, ამაში ცუდი არაფერი არ არის, ოღონდ ხელისუფლებამ ამ თანამშრომლობის ფასად არ უნდა დათმოს მთავარი და ღირეōული − სამართლიანობა.

– დათა ახალაიას ალაპარაკებას რაც შეეხება, როგორ ფიქრობთ, მან ჩათვალა, რომ ის და მისი ძმა უკვე განირეს ნაციონალებმა და ეს იყო შურისძიება? თუ უბრალოდ თავის გადარჩენას ცდილობს? თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?

– უფრო შურისძიება. როგორ, მე ვზივარ ციხეში და შენ მთავარი დამნაშავე და მთავარი კრიმინალი მიტინგებს აანონსებ და თან პასუხისმგებლობას არ გრძნობ იმაზე, რომ ახალაიები სხედან, დი-



ფაქტორი. ადგა და ეს განცხადება გააკეთა. იქ ტყუილი არაფერი არ არის, დარწმუნებული ვარ, რაც თქვა, ეს ესეც არის. უბრალოდ, ახლა ალაპარაკდება მეორე მხარე, მერაბიშვილის მხარეც და ვნა-

– საზოგადოებაში გაჩნდა იმის მოლოდინი, რომ ბევრი რამ ลงกศาสฏารง, ศงตลงช งชงตงกางก დიდი ინფორმაციის მატარებლები არიან, თანაც ძალიან ბინძუ-

– მთელი ეს ხელისუფლება ხომ სიბინძურეს, ძალადობასა და ძალმომრეობას ეფუძნებოდა. რა თქმა უნდა, თუ ალაპარაკდებიან, სწორედ ამ მიმართულებით ილა-วิงศังมูาอ้าธ์, คัง แกแงแล้กมูกาอ้น หิงდიოდნენ კონკრეტული ადამიანებისა თუ ზოგადად ქვეყნის წინააღმდეგ. ძალიან საინტერესოა. ასევე თუ ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზეც ალაპარაკდება სააკაშვილი და იტყვის, ვისი დავალებით გააკეთა ეს, რაც გაა-კეთა 2008 წელს, ძალიან კარგი იქნება. იქნება ამით თავიც გადაირჩინოს და ქვეყანამაც სწორედ გამოსავალი იპოვოს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების დაბრუნება. ის უნდა ალაპარაკდეს და თქვას, რა იყო ამ ომში ჩართვის ძირითადი მიზეზი მისი მხრიდან.

– ქალბატონო ნანა, აგვისტოს ომის თემაზეც აუცილებლად ვისაუბრებთ, თუმცა მანამდე მინდა ისევ იმ საკითხს მივუპრუნდეთ, გაჩნდა ასეთი ვერსიაც, რომ თითქოსდა დიდი ამბიციები გაუჩნდა ვანო მერაბიშვილს და სააკაშვილმა მის გასანეიტრალებლად გამოიყენა დათა ახალაია, რამდენად

დამაჯერებელია ეს ვერსია? – აქვს ამ ვერსიას არსებობის უფლება, იმიტომ, რომ ეს დაბალანსება ხელისუფლების ერთერთი პრიორიტეტია ხოლმე ძალების დაბალანსების. შიგნითაც როდესაც ჩნდება ძლიერი ძალა, ყოველთვის ცდილობს ხოლმე ხელისუფლება, რომ ეს დააბალანოს. ბუნებრივია, რომ სააკაშვილიც შეეცდებოდა ამას, მაგრამ ამ დაბალანსებაში დაპირისპირებაც რომ წარმოიშვა და თან ისეთი სერიოზული დაპირისპირება, როგორიც ახალაიებსა და მერაბიშვილს გაუჩნდათ, ეს შეიძლება ვერ იყო გათვლილი ასეთნაირად და ეს ყველაფერი მათ ცუდად შემოუბრუნდათ.

– ქალბატონო ნანა, რაც შეეხება აგვისტოს ომს, ვხედავთ, როგორ აქტუალურად მიდის მისი განხილვა როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში. რას ელოდებით თქვენ ამ პროცესიდან, რა უნდა გაირკვეს ახალი ისეთი, რაც არ ვიცით?

– ჯერ ერთი, უნდა მოხდეს სწორი აქცენტების კეთება, რომ ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. ის, რომ სააკაშვილი იყო პროვოკატორი და ის აკეთებდა პროვოცირებას იმისას, რომ ქვეყანაში ატეხილიყო ომი და

ლია, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება და არც იმის იგნორირება არ შეიძლება, რომ საქართველოს საზღვარი დაარღვიეს სწორედ რუსულმა ჯარებ-მა და ისინი შემოიჭრნენ სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე. მე ამაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომ ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა ალაპარაკდეს სააკაშვილი იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო ეს, ვისი დავალებით გააკეთა ის, რაც მან გააკეთა 2008 წელს. ვინ იყვნენ ამაზე ინფორმირებულები, ვისგან ჰქონდა მას თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ომში ჩართულიყო? ვინ იყო ამისი პროვოკატორი და ვინ გაუკეთა ამას პროვოცირება და რის გამო მოხდა ეს?! ეს არ იყო რუსეთ-საქართველოს ომი, აქ უფრო ფართო ინტერესები იყო,

ქართველოს შიდა კონფლიქტი. აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დავდეგით ჩვენ 2008 წელს და ყველაფერი ეს იცის სააკაშვილმა. თუ ის იგრძნობს რეალურ საფრთხეს დაპატიმრებისას და მე მგონი, რომ მან ეს უკვე იგრძნო და უნდა იგრძნოს, თუ ვერ դต์ปธิตอัน, อิงฮิกธิ์ กนี้ ลูงชอกูอัง กปีლებული, ალაპარაკდეს. გააჩნია, გამოძიება რამდენად კვალიფიციურად მიუდგება და დაანახვებს, რომ დღეს მისი სიმართლის თქმა, მხოლოდ და მხოლოდ მის წისქვილზე დაასხამს წყალს. ის უნდა ალაპარაკდეს და ერთხელ და სამუდამოდ ნათელი უნდა მოეფინოს, რა მოხდა 2008 წელს და რატომ მოხდა ამ ტერიტორიების გასხვისება, დაკარგვა. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და დაწყებულია კარგად. ახლა მთავარია, ბოლომდე იქნეს მიყვანილი და სააკაშვილისგან მივიღოთ ჩვენ მართალი ჩვენება, რასთან გვქონდა საქმე, რა იყო 2008 წელი? ეს არ იყო შემთხვევითი რამ, რომ ვიღაცამ ვიღაცას ესროლა, ეს იყო დაგეგმილი, გათვლილი, მაგრამ რაზე იყო დაგეგმილი, რატომ იყო ეს ომი და რატომ მოხდა სააკაშვილის ჩართვა ამ პროცესში, ეს უნდა თქვას თვითონ სააკაშვილმა.

– ქალბატონო ნანა, რამდე-รอด กลู่ผูลกษี อชื่อป ปรองอชีลูกลา ตอง რამდენად დაუშვებს დასავლეთი მის ალაპარაკებას? საუბარია, რომ ამაში დასავლეთის ინტერესი იდო და თანაც ძალიან დიდი. ამ თემაზე უკვე ბევრს საუბრობენ...

- გეთანხმებით, დასავლეთის ინტერესში არ არის, რომ დღეს სააკაშვილი ალაპარაკდეს, მაგრამ თუ სააკაშვილმა იგრძნო, რომ ეს მის ინტერესებშია, რომ ის ალაპარაკდეს და ეს უნდა აგრძნობინოს საქართველოს ხელისუფლებამ, უნდა აგრძნობინოს, რომ მის ინტერესებშია და მას სხვა გზა არა აქვს თუ არა ის, რომ თქვას მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე. თუ საქართველოს ხელისუფლება ამას შეძლებს, ჩვენ გავიგებთ რეალურ მიზეზს, რატომ მოხდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დაჩეხვა და რატომ მოხდა მისი ხელყო-

– თქვენ ფიქრობთ, რომ თუ დაინახავს საფრთხეს, ყველაფერს იტყვის სააკაშვილი?

– რა თქმა უნდა, ყველაფერს იტყვის. ის არის ამისთვის მოწოდებული, რომ ყველაფერი თქვას. მთავარია საქართველოს ხელისუფლებამ შეძლოს და დაანახვოს, რომ სააკაშვილისთვის ეს არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, რომ თქვას ამ ომთან დაკავშირებით სიმართლე. ის ამით გადაირჩენს თავს და შეიძლება სწორედ ეს გახდეს გარანტიების საფუძველი მისთვის და არა სხვა რამე. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და სწორედ ამ პოლიტიკით უნდა მიუდგეს დღევანდელი ხელისუფლება მას.

ᲙᲣᲚᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲝ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲦᲝᲕᲔᲑᲡ

D

ეკა ირემაშვილი

სამინისტხოში გაიმახთა სპეციაღუხი პჩესკონფეჩენცია 4 კონკუხსის შესახებ. hოგოhც <u>კუ</u>ღტუhის მინისტიის მოაჹგიტეებმა მანანა ბეხიჯაშვიღმა **ღა ბა**ღჩი გჩუზინს<u>კ</u>იმ განმაႹჸეს, ჯონჯუႹსი ცხა<u>ღ</u>ღება 2 სახვითი ხეღოვნების სხვაჹასხვა ღაეგისა და 2 პიოფესიული მუსიჯაღუჩი ხეღოვნების განვითაჩების შესახებ.

პრესკონფერენციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეებთან ერთად ესწრებოდნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

– "სახვითი ხელოვნების განვი-ชางห์กูอักป 2013 ชี้ ตุกป อัห์กาลหังอีกป" ซูงห์გლებში, განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, სახვით დარგში გამოცხადებული კონკურსების მიზნებია: საქართველოს რეგიონებში გაცვლითი, თემატური, ჯგუფური გამო-ფენების, ფესტივალების მოწყობით საზოგადოებრივი ობიექტების შექმნით, ადგილობრივი საწარმო-სახელოსნოების ამოქმედებით, კულტურული ცხოვრების გააქტიურება და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოხელოვნება დეკორატიულ-გამოყენებითი და სხვა) მომუშავე შემოქმედთა სტიმულირება, ცნობილი და ახალი სახეების წარმოჩენა-პოპულარიზაცია; 2. ღვაწლმოსილ ხელოვანთა ხსოვნისადმი თუ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების (გამოფენები, კატალოგების, ალბომების, ბუკლეტების გამოსაცემად მომზადება) მხარდაჭერა. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე "სახვითი ხელოვნების განვითარების 2013 წლის პროგრამის" ფარგლებში, შესაძლოა დაფი ნანსდეს პრიორიტეტის შესაბამისი დაახლოებით 5 გამარჯვებული პროექტი. "პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის" 2013 წლის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია "ქართული საკომპოზიტორო შემოქმედების განვითარების ხელშეწყობა", რომელიც ითვალისნინებს 2013 წლის მანძილზე რამდენიმე კონკურსის ჩატარებას; მათ შორის კონკურსები სიმებიანი კვარტეტისა და საფორტეპიანო ტრიოს ჟანრებში და აგრეთვე კონკურსი სტუდენტი მუსიკისმცოდნეებისთვის, საუკეთესო კრიტიკული წერილის გამოსავლენად, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მანანა ბერიკაშვილმა.

მისივე თქმით, ამ კონკურსების მიზნებია საქართველოში საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება და საუკეთესო ნიმუშების წარმოჩენა; ქართული კლასიკური მუსიკის გამდიდრება ახალი კამერული ნაწარმოებებით; კოლექტივების რეპერტუარის შევსება-გადახალისება; საზოგადოებრივე ქართული მუსიკის მიმართ. საქართველოში მუსიკათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მუსიკისმცოდნეების წარმოჩენა და წახალისება; საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება მუსიკალური კრიტიკისად-

სიმებიანი კვარტეტისა და საფორტეპიანო ტრიოს ჟანრებში, ასევე სტუდენტი მუსიკისმცოდნეებისთვის, საუკეთესო კრიტიკული წერილის გამოსავლენად.

გამართული კონკურსების ფარ-გლებში გაიცემა ფულადი პრემიები: სიმებიანი კვარტეტი — პირველი პრემია 2.000 ლარი, მეორე პრემია 1.000 ლარი და მესამე პრემია 1.000 ლარი. საფორტეპიანო ტრიო — პირველი პრემია 2.000, მეორე პრემია 1.500 ლარი და მესამე პრემია 1.000 ლარი. სტუდენ-ტი მუსიკისმცოდნეებისთვის, საუკეთესო კრიტიკული წერილი ფულადი პრიზები ასე გადანაწილდა: პირველი პრემია — 1.000 ლარი, მეორე პრემია — 800 ლარი და მესამე პრემია — 600 ლარი.

– ამ კონკურსის მიზანია, საქაროში საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება და საუკეთესო ნიმუშების წარმოჩენა; ქართული კლასიკური მუსიკის გამდიდრება ახალი კამერული ნაწარმოებებით; კოლექტივების რეპერტუარის შევსება-გადახალისება; საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება თანამედროვე ქართული მუსიკის მიმართ. კონკურსის ამოცანაა ხელი შეეწყოს თანაშედროვე ქართული პროფესიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების შექმნას და გამოვლენას, მათ პოპულარიზაციას; პროფესიული მუსიკისადმი მსმენელთა ყურადღების გამახვილებას, ახალგაზრდა თაობაში მისდამი ინტერესის გაღვივებას; პროფესიული მუსიკის განვითარებაში წვლილის შეტანას. რაც შეეხება კონკურსის პირობებს, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ კომპოზიტორს, კონკურსი და-ხურულია, კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას სიმებიანი კვარტეტი და საფორტეპიანო ტრიო, საკონკურსო ნაწარმოები არ უნდა იყოს შესრულებული და გამოცემული; კონკურსი ტარ-დება სამ ტურად: პირველი — აუდიო ჩანაწერით, მეორე და მესამე ტურები – ცოცხალი შესრულებით, პროფესიუ-ლი კოლექტივების მიერ. კონკურსის ჟიურის წევრებად მოწვეულნი იქნები-



ან ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, შემსრულებლები და მუსიკის-მცოდნეები; კონკურსზე უნდა გამოიგ-ზავნოს ნაწარმოების პარტიტურის ორი ეგზემპლარი და პარტიები დევიზით, აგრეთვე აუდიო ჩანაწერი ანუ კომპიუტერული ვერსია. ავტორის ვინაობა და საკონტაქტო რეკვიზიტები. აღნიშნული უნდა იყოს ცალკე, დახურულ დევიზიან კონვერტში; კონვურტი გაისსნება მხოლოდ პრემიის გაცემის შემთხვევაში. საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს 2013 წლის 8 ივნისამდე, — განმარტა კულტურის მინისტრის მოადგილემ ბადრი გრუზინსკიმ.

27 და 28 ივნისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააქ-ტო დარბაზში ჩატარდება პრემირებუ-ლი, პირველი, მეორე და მესამე ადგილზე გასული ნაწარმოებების კონცერტი.

 რაც შეეხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსს სტუდენტი მუსიკისმცოდნეებისთვის, საუკეთესო კრიტიკული წერილის გამოსავლენად, ამ კონკურსის მიზანია, საქართველოში მუსიკათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მუსიკისმცოდნეების წარმოჩენა და წახალისება; საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება მუსიკალური კრიტიკისადმი. კონკურსის ამოცანაა თანამედროვე ქართული მუსიკალური კრიტიკული აზრის სტიმულირება, საუკეთესო ნიმუშების შექმნა და გამოვლენა; ახალგაზრდა თაობის კრიტიკოსთა მიერ; თანამედროვე პროფესიული მუსიკის განვითარებაში წვლი-ლის შეტანა. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სტუდენტ მუსიკისმცოდნეებს; კონკურსი დახურულია; კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნას მიმო-ხილვითი ხასიათის წერილი საქართველოში ბოლო პერიოდში – აპრილი, მაისი, ივნისი, მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების შესახებ. კონკურსი ტარდება სამ ტურად. კონკურსის ჟიურის წევრებად მოწვეულნი იქნებიან ცნობილი მუსიკისმცოდნეები, კომპოზიტორები, შემსრულებლები; გაიცემა სამი პრემია. პრემირებული წერილები დაიბეჭდება საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალში "მუსიკა"; წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 ნაბეჭდ გვერდს. კონკურსზე უნდა გამოიგზავნოს წერილის ორი ეგზემპლარი დევიზით, ავტორის ვინაობა და შემოქმედებითი ბიოგრაფია კი უნდა მოთავსდეს ცალკე, დახურულ, დევიზიან კონვერტში; კონვერტი გაიხსნება მხოლოდ პრემიის გაცემის შემთხვევაში. საკონკურსო მასალა მიიღება 3-დან 8 ივნისამდე. უკვე გაწერილია პროექტის შესრულების კაბა, 28 ივნისს კი პრემიების გადაცემის საზეიმო გადაცემა მოხდება, – აღნიშნავს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს "საქართველოს რეგიონებ-ში გამოფენებისა და მასთან დაკავში-რებული სხვა ღონისძიებების ხელშეწყობაზი".

– კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამის პრიორიტეტი: საქართველოს რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობა. კონკურსის მიზანია საქართველოს რეგიონებში გაცვლითი, თემატური, ჯგუფური გამოფენების, ფესტივალეპის მოწყობით საზოგადოებრივი ობიექტების შექმნით, ადგილობრივი საარმო-სახელოსნოების ამოქმედებით, კულტურული ცხოვრების გააქტიურება და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, იქნება ეს ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოხელოვნება თუ დეკორატიულ-გამოყენებითი მიმართულება, მომუშავე შემოქმედთა სტიმულირება, ცნობილი და ახალი სახეების წარმოჩენა-პოპულარიზაცია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს "სახვითი ხელოვნების განვითარების 2013 წლის პროგრამიდან" დაფინანსდება პროექტები საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურების ხელშე-საწყობად; კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირებს;

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლენდარული გეგმა: 3-დან 8 ივნისამდე

მოხდება საკონკურსო მასალების მი-

ღება; 10-21 ივნისს კონკურსის პირვე-

ლი, მეორე, მესამე ტურები ჩატარდე-

 უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

- დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის მილება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალილევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარ-გებლოა. ტელ: 235-15-96.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, აღენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, აღენომა, ხშირი შარღვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი პარღვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუქ-ნანლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სა-
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები,

კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.


- სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზ-მი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავებს განმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.
- ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა,
 მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი
 წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დიმიტრი.
- ნანა ქიბრონაშვილი. შპს "იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამონვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვით მკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოქილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი: ალკოპოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის პრობლებების მოგვარება, გასტრიტის, კოლიტი (მშრალი და სველი), დისბაქტერიოზი, ასევე იმპოტენციის, შარდის პრობლემების (შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა), წვა, ქავილი, უშვილობა, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე), უნებლიე შარდვა (ასაკოვანებშიც და ბავშვებიც), გაჯანსაღება ხდება 100%-იანი მცენარეული პრეპარატებით, ანონიმურობით, უკუჩვენება ნულია. მიიღებიან ქალებიც. გამოცდილი სპეციალისტი ქალბატონი ქეთი. ტელ: 0570-90-63-45 (ზარი უფასოა), 577-29-37-41.

ᲤᲝᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ 2009 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲝ–ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



<u>ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲒᲔᲑᲘ:</u>

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/6 215 090 425 ხობი, სოფ.ნოჯიხევი ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი. ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი

ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი ბ/კ: LBRTGE22 ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო ხობის მონასტერი.

> ᲡᲝᲖᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲖᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲖᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ ᲘᲦᲣᲛᲔᲜᲘᲐ ᲐᲜᲐ (ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ)



Je30e 37e 6JW PJYWU: 6JP9JWOU WUS 7W7 ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ

კარიერა ამსტერდამის "აიაქსში" დაიწყო, შემდეგ 2 წელი "იუვენტუსში" გაატარა, საიდანაც ჯანლუიჯი ბუფონის მისვლის შემდეგ გუნდიდან წასვლა მოუწია. ამდენივე წელი ინგლისურ "ფულემში" დაჰყო, მერე "მანჩესტერ იუნაიტედში" გადაბარგდა და ბრწყინვალე 5 წელიწადის შემდეგ კარიერაც დაასრულა – გეცნობათ?

დიახ, ეს ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ საარია, ლეგენდარული მეკარე! ჰოლანდიელ მეკარეს "დეილი მეილის ჟურნალისტი ამჟამინდელ ბატალიებზე არაფერს ეკითხება და ერთგვარ განტვირთვას სთავაზობს – ყველა თემაზე ესაუბრება.

– გულშემატკვირებს ხომ ვერ გაუმხელთ, რომელი მეტსახელით მოგმართავდნენ ყველაზე ხშირად პარტნიორები და ახლობლები?

– "მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეები ჩვეულებრივად, ედის ან ედვინს მეძახდნენ. განსაკუთრებული მეტ-บ้องกูเอก อด์บ้อง อีปูเทอกอ. บออีฮิกอ้ายกซื้อ თანაგუნდელები სარს მეძახდნენ.

– ფეხპურთელის კარიერა დამქანცველი იყო და დასვენებასაც საჭიროებდით. რომელია თქვენი საყვარელი დასასვენებელი ადგილი?

– იტალიაზე ვგიჟდები. ესაა ქვეყანა, რომელიც ყველაფერში აღტაცე-ბას იწვევს ჩემში. მისი კულტურა უძველესი და ძალზე საინტერესოა. მის ბოლომდე გაცნობას ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ეყოფა. ძალიან მიყვარს იტალიური სამზარეულო და უღრუბლო ცა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში "იუვეში" ვთამაშობდი და ტუ-რინში ვცხოვრობდი. ცუდი ქალაქი ნამდვილად არ არის, მაგრამ რომს ვერაფერი შეედრება.

– თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად იტალიური სამზარეულო გხიბლავთ.

– იტალიური სამზარეულო მშვენიერია, მაგრამ მასზე წინ მაინც იაპონურს დავაყენებდი. ყველაზე მეტად სუში და ამომავალი მზის ქვეყანაში დამზადებული შემწვარი ხორცი მიყვარს იქაური ცხარე სანელებლებით.

- სასმელებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

- მთელი დღის განმავლობაში სიროფს ვსვამ, რომელიც ჰოლანდიიდან ჩამომაქვს ხოლმე — ჩემს სამშობლოში არაჩვეულებრივ სიროფებს ამზადებენ, განსაკუთრებით კი მარწყვის ნაყენი მომწონს. საღამოს, დაძაბული მატჩის შემდეგ თავს ღვინის დალევის უფლებასაც ვაძლევდი. რაც შეეხება ღვინოს, თეთრიც მომწონს და შავიც – უბრალოდ გააჩნია, კონკრეტულად რომლის მირთმევის ხასიათზე ვარ ხოლ-

– თქვენი საყვარელი კინოფილ-

– ბევრის გამოყოფა შემიძლია, ყველაზე მეტად კი "ნათლიმამა" მიყვარს.

– მსახიობთაგან ვის გამოარჩევდით?

დაუფიქრებლად გიპასუხებთ:ალ პაჩინოს დონის მსახიობი მეორე არ მეგულება.

-– უკანასკნელად რომელი დისკი შეიძინეთ?

— ჩემი ფავორიტი ჯგუფის "რე-იზორლაითის" ახალი ალბომი.

– ფეხბურთის გარდა, რა განი-ჭებთ კმაყოფილებას?

– ფეხბურთს უდიდესი დრო მიჰქონდა და სულ ვცდილობდი, დარჩენილი თავისუფალი დრო ჩემს ბიჭთან და გოგონასთან გამეტარებინა. ერთი 13 წლისაა, ხოლო მეორე — 11-ის. ძალიან მიყვარს მათთან დროის გატარება. ახლა ამისათვის მეტი დრო მაქვს, ხანდახან კომპიუტერული თამაშებითაც ვერ-

– ფეხბურთელთაგან ვისთან მეგობრობთ?

– ნისტელროი რომ "იუნაიტედში" თამაშობდა, ძალიან მსიამოვნებ-და. მისი "რეალში" გადასვლა მძიმედ განვიცადე. ვმეგობრობ ფრანკ დე ბურთან. ჩვენ ხომ ერთად ვთამაშობდით "აიაქსში" რუუდთან და ფრანკთან დღემდე ხშირი სატელეფონო კავშირი

– თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, უამრავ ადამიანს შეხვედრიხართ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვინ მოახდინა?

– ბედმა მართლაც უამრავ საინტერესო პიროვნებასთან შემახვედრა, ყველაზე მეტად კი პრინც ჰარისთან ურთიერთობა და საუბარი მომეწონა. ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში საღამო ერთად გავატარეთ და ძალიან საინტერესო დიალოგი გამოგვივიდა. – საავტომობილო მარკებიდან

უპირატესობას რომელს ანიჭებთ? ასაკის მიხედვით გემოვნება მეცვლება ხოლმე. ამჟამად ყველაზე მეტად აუდი ს-8 მხიბლავს. მიუხედავად იმისა, რომ ის საოჯახო მანქანად ითვლება, მაღალი სიჩქარის მალე განვითარებაც შეუძლია და მეც დროდადრო ახალგაზრდობას ვიხსენებ ხოლმე. ადრე სწრაფი ტარება სიამოვნებას მა-

ნიჭებდა, ამჟამად ნაკლებად. – რამდენი ავტომობილი გაქვთ? – ორი – აუდი ს**-8** და ბმვ.

– გაზეთებსა და ჟურნალებს თუ კითხულობთ?

რასაკვირველია. "დეილი მეილის" მასალებს რეგულარულად ვეცნობი. მომწონს ისეთი ჟურნალების კითხვაც, სადაც ცოტ-ცოტას ყველაფერს გაიგებ – მოდას, სხვადასხვა ჭორს, კულტურის სიახლეებს.

– როგორ გგონიათ, ახლობლებს อาสุลฤธิก ชอบกออกบ คอ ออลูกปฏอิสุคฏอ้อ ალიზიანებთ?

– ცუდი თვისებები არ მაქვს... ისე, ძალიან ბევრს ვუყურებ ფეხბურთს და შესაძლოა, ეს ვინმეს არ სიამოვნებ-

– ვარჯიშის შემდეგ რითი იყავით დაკავებული? - ბიჭებს წვრთნის დასრულე-



ბისთანავე შხაპის გადავლება უყვარდათ, მე კი ცოტა ხნით სატრენაჟორო დარბაზში შევდიოდი, შემდეგ კი გარკვეული დროის განმავლობაში მარტო ყოფნა მსიამოვნებდა. ამის მერე წყალს ვივლებდი, სახლში მივდიოდი ან ბავშვები სკოლიდან გამომყავდა. როდესაც შვილები დაიძინებდნენ, ფილმს ვუცქერდი, გაზეთს ვკითხულობდი ან რომელიმე მეგობართან მივდიოდი.

– ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავით, რომელ პროფესიას აირჩევდით?

– ალბათ, სპორტული საქონლის მაღაზიის მეპატრონე გავხდებოდი. ეს იდეა ყოველთვის მხიბლავდა და არ არის გამორიცხული, ოდესმე მართლაც განვახორციელო ჩანაფიქრი. ფეხბურთი რომ არა, ფიზკულტურის მასწავლებელი გავხდებოდი. — *ცრუმორწმუნე ხართ?*

– ფეხბურთელთ აბსოლუტური უმრავლესობა გარკვეული დოზით ცრუმორწმუნეა, მე კი არა. მატჩის წინ ჯერ მარცხენა სათამაშო წინდას ვიცვამდი, შემდეგ კი მარჯვენას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვევა იყო, მეტი არაფე-

დაგვისახელეთ ყველაზე ძვირფასი რამ, რაც გაგაჩნიათ?

– რაც კი მედლები და პრიზები მომიპოვებია, ჩემთვის ოჯახის მეასედადაც არ ფასობს

– ფეხბურთის გარდა, კიდევ რომელი სპორტის სახეობის თამაში გსიამოვნებთ?

- გოლფი, ჩოგბურთი და სქვოში. სეზონის დასრულების შემდეგ, როცა მეტ-ნაკლებად თავისუფალი ვიყავი, სქვოშს ვთამაშობდი ხოლმე და მინდა გითხრათ, რომ დიდძალი ენერგია მიაქვს. სიმაღლიდან გამომდინარე ბევრს ჰგონია, რომ კარგი კალათბურთელი ვარ, მაგრამ სპორტის ეს ულამაზესი სახეობა ვერაფრით ავითვისე. იძულებული ვარ, მხოლოდ მისი ცქერით დავკმაყოფილდე.

– დიალოგის დასაწყისში ახსენეთ, რომ უამრავ ცნობილ პიროვნებას შეხვედრიხართ. ვისი გაცნობა გსურთ?

– ძალიან მინდოდა ნელსონ მანდელას გაცნობა და როცა 2009-10 წლების სეზონში ხელის ტრავმა მქონდა, ვისარგებლე და ამ ადამიანის გაცნობა მოვახერხე. 1996 წელს ჰოლანდიის ნაკრები სახმრეთ აფრიკაში "ბაფანა ბაფანასთან" სათამაშოდ ჩავიდა და ბიჭები მანდელას შეხვდნენ, მე კი იმ ტურნეში კლუბმა არ გამიშვა. თავის დროაე ნაშყოფი ვარ კუნძულ რობენზე, სადაც მანდელას ტუსაღობის წლები აქვს გატარებული. წაკითხული მაქვს მისი წიგნიც.

– და ბოლოს: როგორ მოგენონათ თქვენი გაცილების მატჩი და დაგწყდათ თუ არა გული ფეხბურთიდან ნასვლის გამო?

– გაცილება მშვენიერი გამოვიდა, ვერაფერს იტყვი. გული, რასაკვირველია, დამწყდა, მაგრამ საკმაოდ სოლიდური დრო გავატარე ფეხბურ-თში, ახლა კი დროა, ოჯახსაც მივხე-

ᲣᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲔᲛᲖᲐᲠ ᲖᲔᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲡᲝᲥᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ამას წინათ, სოჭში ზამთრის 22ე ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირე-ბით მისიის ხელმძღვანელთა სემინარი გაიმართა, რომლის მუშაობაშიც საქართველოდან მონაწილეობა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენა-იშვილმა მიიღო.

გაემგზავრება თუ არა ჩვენი სპორტული დელეგაცია სოჭში, როგორ ემზადება თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქი თამაშებისათვის და რა საკითხები განიხილეს სემინარზე, ამის შესახებ ემზარ ზენაიშვილის ინტერვიუ სეოკ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- ბატონო ემზარ, სოჭის ოლიმპიურ თამაშებამდე წელინადზე ნაკლები დარჩა და ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არაა, მივიღებთ თუ არა მასში მონაწილეობას. თქვენი პოზი-ลกร ศักรุศศกร รชิ ปรากาชกรชิ เองารรชิกრებით?

– დიახ, თამაშების მოახლოებასთან ერთად ამ თემის ირგვლივ ინტერესი უფრო მატულობს. ოლიმპიადამდე 10 თვით ადრე ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ საბოლოოდ მიღებული არ არის. სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე პოლიტიკური ნება არსებობს და ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სეოკ-ი ღებულობს. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს პასუხი 7 მაისამდე უნდა ვაცნობოთ. სწორედ ამიტომ, 2 მაისს სეოკ-ის რიგგარეშე სესია მო-ဒ္ဓဂ၆ဒ္ဓဂဥ္ဟတ္ ထုန္က မွဒ္စဥ္ကဏ္လေတ္သည္ကိုပဲ ၆န္တတ္သက္ေဂ႕ მოეფინება. ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნით, ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ საკითხებზე კენჭისყრაში მონაწილეობას მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების წარმომადგენლები და სეოკ-ის აღმასკომის წევრები მიიღებენ, ასეთები კი სულ 60 კაცამდეა. ჩემი პირადი მოსაზრებით, სოჭში გამგზავრებაზე უარი არ უნდა ვთქვათ.

– ეს თემა სოქში გამართულ სემინარზე რაიმე ფორმით ხომ არ წამოწეულა?

– გემახსოვრებათ, რამდენიმე წლის წინ სტამბოლში გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე სეოკ-მა დააყენა საკითხი ოლიმპიადის სოჭიდან სხვა ქალაქში გადატანაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშებს ბოიკოტს გამოვუც-

ხადებდით. მაშინ ამას ძალზედ მწვავე რეაქცია მოჰყვა ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელებისგან. არავინ დავობს, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ ოლიმპიადაზე არწასვლით, ეს საკითხი ვერ მოგვარდება. ვფიქრობ, მხოლოდ บังปุงค์ตรูฏლოบ ชิคักผู้กูปผู้ป ชิคัก არა აქვს. სხვა საქმეა თუ მხარს რამდენიმე ძლიერი ქვეყანა აგვიბავს, რისი შანსებიც ფაქტიურად ნულის ტოლია. ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამით ჩვენ ბოიკოტს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გამოვუცხადებთ და არა სოჭს, რომელსაც სოკ-მა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიანიჭა. სემინარზე ამ თემის ირგვლივ ხმამაღლა არაფერი თქმულა, თუმცა კულუარული საუბრებიდან გამომდინარე, ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებას არავინ მოგვინონებს. — *მოდით, სოჭში გამართულ სე*-

მინარზე გადავიდეთ.

– თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ 2013 წლის იანვრამდე სეოკ-ს "სოჭი 2014"-ის საორგანიზაციო კომიტეტ-้ ของ เพื่อรถดงค์ก รู้งรู้ ชื่อคือ งค์ รู้งงห็ธิ้อง და ამიტომაც ამ სემინარზე დასწრება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. სემინარში მონაწილეობდა 80 ქვეყნის წარმომადგენელი, სოჭში იმყოფებოდა სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ქვეყნის სხვა მაღალჩინოსნები. ბევრი საინტერესო დეტალი იქნა განხილული, თუმცა ყურადღებას მხოლოდ ჩვენთვის მნიშვნელოვანზე შევაჩერებ. სოჭში სამი ოლიმპიური სოფელი იფუნქციონირებს, რომელთაგან ქართული დელეგაცია ორში – მთის და ზღვისპირა კლასტერში განთავსდება. რა თქმა უნდა, მონაწილეობის მიღების შემთხვევაში. დადგინდა ქართული დელეგაციის სოჭში ჩასვლის თარიღიც – 4 თებერვალი, თამაშების საზეიმო გახსნამდე სამი დღით ადრე. რაც შეეხება ოლიმპიურ სოფელში ჩვენი დროშის აღმართვის ცერემონიალს – 5 ან 6 თე-

ბერვალს მოხდება. – აქვე ლიცენზიების შესახებაც გკითხავთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

– სამწუხაროდ, ზამთრის ოლიმპიადაზე ლიცენზიანტთა სიუხვით ვერ დავიკვეხნით და სოჭშიც მცირერიცხოვანი გუნდით წარვდგებით. საუბარია დაახლოებით 5-7 სპორტსმენზე სამთო სათხილამურო სპორტში და ფიგურულ ციგურაობაში. აქვე დავამატებ-დი, რომ ამ უკანასკნელში შეიცვალა შეჯიბრების განრიგი და საკვალიფიკაციო ეტაპი თამაშების გახსნის წინა დღეს ჩატარდება. ამას გარდა, კატეგორიული მოთხოვნაა, ყურადღება მიექცეს სპორტსმენის მიერ გამოყენებული მუსიკის საავტორო უფლების დაც-

– რა მდგომარეობაა სპორტული ინფრასტრუქტურის მხრივ და როგორ ფიქრობთ შეძლებს სოჭი მაღალ დონეზე უმასპინძლოს თამაშებს?

ოლიმპიური თამაშები ისეთი გრანდიოზული სპორტული ფორუმია, რომ წინასაოლიმპიადო სამზადისშიც და შემდეგაც, უშუალოდ თამაშების მიმდინარეობის პერიოდში ხარვეზებს ყოველთვის აღმოაჩენ. ასეა სოჭის შემთხვევაშიც და ამაში გასაკვირი არა-ფერია. თვითონ სოჭში ოლიმპიადის დროს არაფერი ხდება და მთავარი ეპიცენტრი ზღვისპირა კლასტერში "იმერეთის ველზე" იქნება, სადაც განთავსებულია ოლიმპიური პარკი. აქვეა დახურულ არენებზე ჩასატარებელი ყველა სპორტული ობიექტი, ოლიმ-

პიური სტადიონი, მთავარი მედიაცენტრი, მედალ პლაზა, ოლიმპიური მუ-ზეუმი და კლუბი. თუმცა, ბევრი პრობლემა დღესაც მოუგვარებელია. ჩანს, რომ სასტუმროებში საკმარისი ადგილი არ იქნება, ჯერ კიდევ საბოლოო კონდიციამდეა მისაყვანი სპორტული -ობიექტები. ორგანიზატორებსაც და სემინარის მონაწილეებსაც ბუნებრივია აწუხებთ უსაფრთხოების საკითხები და სხვა. რუსეთს აქვს გამოცდილება მაღალი რანგის შეჯიბრებების ჩატარების. კარგად გვახსოვს მოსკოვის ოლიმპიადა, რომელიც უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. ვფიქრობ, ეს არც "სოჭი 2014"-ის ორგანიზატორებს უნდა გაუჭირდეთ. ისე კი, სოჭის თამაშები, როგორც ჩანს ერთერთი ყველაზე ძვირადღირებული თამაშები იქნება – რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ქვეყნის ხაზინას ოლიმპიური თამაშეგი დაახლოებით 45-50 მილიარდი დოლარი დაუჯდება. – იფუნქციონირებს თუ არა სოქ-

ში "ქართული სახლი"?

– ზაფხულის თამაშების გამოც დილებამ გვაჩვენა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საჭიროა ასეთ მასშტაბურ სპორტულ ფორუმზე შენი კუთხის არსებობა. "ქართული სახლის" ფუნქციონირების საკითხი დღის წესრიგში კი დგას, მაგრამ სოჭში ეს სიამოვნება ძალზედ ძვირი დაგვიჯდება. როგორც გითხარით, უშუალოდ ქალაქში ოლიმპიადის დროს განსაკუთრებული არაფერი ხდება და "ქართული სახლის" მოწყობა გამართლებული მხოლოდ ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე იქნება. თვითონ ტერიტორიას უფასოდ კი გვთავაზობენ, მაგრამ შესაბამისი დროებითი შენობის აგებისთვის, მისი ტექნიკური ექსპლუატაციისთვის (დაცვა, ელექტროენერგია, დასუფთავება) და შემდეგ დემონტაჟისთვის "ცეცხლის ფასს" ითხოვენ.

– და ბოლოს, მედიაზეც გკითხავთ.

– სხვათა შორის, სოჭის ოლიმპიადაზე როგორც ასეთი, მედიასოფელი არ იქნება და ორგანიზატორები პრესის მუშაკებს სამ ვარსკვლავიან სასტუმროებში განთავსებას სთავაზობენ. რაც შეეხება საქართველოდან მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს, მინდა ავღნიშნო, რომ სოჭში საკმაოდ მძლავრი ჟურნალისტთა კორპუ-

ൗായാരാര

			<u> </u>				
<u> </u>							
ინგღისი. პჩემიეჩღიგა							
არსენალი-ევერტონი 0:0							
ີ່ບະບຸງໄ							
1.მანჩეტერი	32	26	2	4	73:33	80	
2.სიტი	31	19	8	4	57:27	65	
3.არსენალი	33	17	9	7	64:35	60	
4.ჩელსი	31	17	7	7	61:33	58	
5.ტოტენჰემი	32	17	7	8	55:40	58	
6.ევერტონი	33	14	14	5	51:37	56	
7.ლივერპული	33	13	11	9	59:40	50	
8.ვესტ ბრომვიჩი	32	13	5	14	42:43	44	
9.სუონსი	32	10	11	11	43:42	41	
10.ფულემი	32	10	10	12	44:48	40	
11.საუთჰემპტონი		9	11	13	47:54	38	
12.ვესტ ჰემი	32	10	8	14	36:45	38	
13.ნიუკასლი	33	10	6	17	42:59	36	
14.ნორვიჩი	33	7	14	12	31:52	35	
15.სანდერლენდი		8	10	15	37:45	34	
16.სტოკი	33	7	13	13	28:41	34	
17.ასტონვილა	33	8	10	15	36:60	34	
18.უიგანი	31	8	7	16	37:57	31	
19.ქპრ	33	4	12	17	27:54	24	
20.რედინგი	33	5	9	19	36:63	24	
ინგიისი. ჩემპიონიიგა							
ბარნსლი-დერბი 1:1							
ბლექბერნი-ჰადერსფილდი 1:0							
ბრისტოლი-ბირმინგემი 0:1							

ვულვზი-ჰალი

იფსვიჩი-კრ.პალასი	3:0
კარდიფი-ჩარლტონი	0:0
ლესტერი-ბოლტონი	
ლიდსი-ბარნლი	
მიდლსბრო-ნოტინგემი	
მილუოლი-უოტფოტდი	
პიტერბრო-ბრაიტონი	
ბლექპული-შეფილდი	
იცაღია. სეხია ბ	
ბრეშა-გროსეტო	3:1
ვერონა-ჩიტადელა	
ვიჩენცა-ასკოლი	
ლანჩანო-ტერნანა	1:1
მოდენა-ბარი	0:0
პადოვა-კროტონე	
პრო კერჩელი-ვარეზე	2:1
რეჯინა-სასუოლო	
სპეცია-ჩეზენა	
ემპოლი-იუვე სტაბია	
გეჩმანია. თასი	
ბაიერნი-ვოლფსბურგი	6:1
საფრანგეთი	თასი
სენტ ეტიენი-ლორიენი	1:2
ტრუა-ნანსი	3:0
ავსტჩია. თასი	
რაპიდი-პაშინგი	0:1

აი გვეყოლება.
ინსბრუკი-ზალცბურგი 0:3
ჩეხეთი. თასი
აპარტა-სიგმა4:2
<u> გეპლიცე-ლიბერეცი</u> 2:2
პოიონეთი. თასი
ლეგია-რუხი 2:1
ლეგიას ორივე გოლი ვლადიმერ დვა-
ლიშვილმა გაიტანა
იხღანდია. პხემიეხ დივიზიონი
ლიმერიკი-ბოჰემიანსი 2:1
<u>ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ</u>
ნბა.
ატლანტა-ტორონტო 96:113
კლიპერსი-პორტლენდი93:77
<u>3ᲝᲙᲔᲘ</u>
ნ≩ღ.
ვაშინგტონი-ტორონტო 5:1
აილენდერსი-ფლორიდა 5:2
ოტავა-კაროლინა 3:2
ფილადელფია-რეინჯერსი 4:2
ვინიპეგი-ტამპა ბეი 3:3(1:0ბ)
აენტ ლუისი-ვანკუვერი 1:1(1:0ბ)
ედმონტონი-მინესოტა 3:5
აან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:2(1:0ბ)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲚᲝᲜᲦᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲒᲔᲜᲦᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლონდონის წიგნის ბაზრობაზე საქართველო პირველად წარადგინა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ლონდონში ქართული კოლექტიური სტენდი გაიხსნა. "საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის" ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, სტენდზე დაახლოებით თხუთმეტი ქართული გამომცემლობის წიგნებია წარმოდგენილი. მათ შორის "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", "დიოგენე", "ქარჩხაძის გამომცემ-ლობა", "სიესტა", "ლოგოს პრესი", "პალიტრა ელი", "ბაკმი" და "კლიო". სტენდზე ასევე განთავსდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და "ლიტერატურის მუზეუმის" გამოცემებიც. ბაზრობის ფარგლებში იგეგმება ქართველი გამომცემლების არაერთი საქმიანი შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან. ლონდონის წიგნის ბაზრობის ფარ-

გლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი და ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი შეხვდნენ ბრიტანელ მთარგმნელ დონალდ რეიფილდს, ბრიტანელ ჟურნალისტსა და გამომცემელს პიტერ ნეშმიტს და ამერიკელ-ბრიტანელ გამომცემელს ჯონ ო'ბრაიენს. შეხვედრების მიზანია ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმების დასახვა ბრიტანულ და ქართულ გამომცემლობებსა და ავტორებს შორის.

როგორც კულტურის სამინისტროში "ახალ თაობას" განუცხადეს, მომავალ წელს ლონდონის წიგნის ბაზრობაზე საქართველო გეგმავს უფრო მასშტაბურ წარდგენას, სადაც ჩართული იქნება კიდევ უფრო მეტი გამომცემლობა, გაიზრდება თარგმანების რაოდენობა და მოეწყობა ავტორების კითხვის საღამოები.

ლონდონის წიგნის ბაზრობა ყოველწლიურად აპრილის თვეში იმართება. ბაზრობას თითქმის ორმოცი წლის ისტორია აქვს და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ წიგნის ბაზრობად ითვლება.

ფესტივალი ყოველწლიურად აერთიანებს 25.000-ზე მეტ გამომცემლობას, წიგნის გამავრცელებლებს, ბიბლიოთეკებს და მედიის წარმომადგენლებს. ბაზრობაზე დაახლოებით 1700 საერთაშორისო მონაწილე

იყრის თავს. გამომცემლები ბაზრობას ახალი გამოცემების გასავრცელებლად, საავტორო უფლებების შესაძენად და სხვა საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად სტუმრობენ. ფესტივალის ფარგლებში იმართება სხვადასხვა სახის კონფერენციები, პრეზენტაციები და ფორუმები. 2007 წლის შემდეგ ლონდონის წიგნის ბაზრობა ტრადიციულად "ერლს ქორთის" საგამოფენო ცენტრში მიმდინარეობს.

- 14-19 აპრილს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ქალაქ ლონდონში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის อิกธิกษ์สู่หัก ลูทูหังอี พอกฮิ่งหักง, อิกธิกษ์สู้หักษ პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი, — განაცხადეს კულტურის სამინისტროში.

კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდნენ "თბილისის მემკვიდრეობის ჯგუფს" შტეფან ნეშს, პიტერ ნესმითს და სეივის წარმომადგენლებს და გაუზიარეს გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, კერძოდ კი, საუბარი შეეხო ძველი ერ დაგეგმილ პუბლიკაციას ძველი თბილისის შესახებ, რომელსაც სამინისტრო უჭერს მხარს.

ქართული დელეგაცია შეხვდა როიალ ქორთ თეატრის საერთაშორისო ურ-



15 - 17 APRIL 2013 EARLS COURT, LONDON

თიერთობების უფროსს ელის დოგსონს. ამ თეატრში უკვე გაიმართა ლაშა ბუღაძის პიესის "პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა" საჯარო კითხვა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. საუბარი შეეხო ლაშა ბუღაძისა და ასევე სხვა ქართველი დრამატურგების თანამშრომლობას ბრიტანულ თეატრთან. შეხვედრისას დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობის მომდევნო ნაბიჯები, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ლონდონში ვიზიტისას შედგა ქართული დელეგაციის შეხვედრა პარლამენტართან, სახელმწიფო დეპარგამენტის უფროსის მოადგილესთან კულტურის, კომუნიკაციებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების დარგში (კულტურის მედიისა და სპორტის დეპარტამენტი) ედ ვეიზისთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის, საქართველოსა და ბრიტანეთის კულტურის პოლიტიკის შესახებ. მხარეებმა ისაუბრეს რეგიონებში კულტურის განვითარების სტრატეგიაზე. ბრიტანელ მა კოლეგამ ამ მხრივ კონსულტაციების გაწევაზე მზადყოფნა გამოთქვა.

საგანგებო შეხვედრას ქართულ დი ასპორასთან ლონდონში დაესწრო ქართული დელეგაციის სრული შემადგენლო ბა -საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი. შეხვედრა გაიმართა ლონდონის უნივერსიტეტ-

ლონდონში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი ტაო კლარჯეთის ძეგლების მკვლევარს ირინა გივიაშვილს შეხვდა. თბილისიდან გამგზავრებულ ქართველ სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფს ტაო-კლარჯეთში ირინა გივიაშვილიც შეუერთდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართულ-თურქული მხარეები ოფიციალურად ერთობლივად იმუშავებენ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲘᲜᲔᲛᲐ&ᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲒᲔᲑᲛᲐ **ᲕᲘᲡᲑᲐᲦᲔᲜᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲖᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ**

ეკა ირემაშვილი

2013 წელს ვისბადენის კი ნოფესტივალი "გო ისთ", რომელიც 10-16 აპრილს გაიმართა, ქართული კინოს დიდი წარმატებით დასრულდა. ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმმა "გრძელი ნათელი დღეები" კინოფესტივალზე მთავარი პრიზი აიღო. როგორც ეროვნული კინოცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინია ახვლედიანი აცხადებს, ფულადი ჯილდო შეადგენს 10.000 ევროს. ბერლინალეს და ჰონგკონგის ფესტივალების შემდეგ ეს ფილშისთვის შორიგი გამარჯვებაა. ქართული ნამუშევარი, რომელიც თბილისში მძიმე 90-იანი წლების ფონზე თინეიჯერების ცხოვრებას ასახავს, საფესტივალო ცხოვრებას აგრძელებს.

– ვისბადენის კინოფესტივალზე "გო ისთ" ასევე გამოვლინდა ორი გამარჯვებული ქართული კინოპროექტი, რომლებიც ნომინირებული იყო რობერტ ბოშის ფონდის 2013 წლის პროგრამაში – კოპროდუქციის პრიზზე. ეროვნული კინოცენტრის და ბოშის ფონდის ერთობლივი ტრეინინგის შედეგად, ამ ნომინაციაში ახალგაზრდა რეჟისორის და ანიმატორის დათო კიკნაველიძის და პროდიუსერ ლელა აქიაშვილის ანიმაციური ფილ მის პროექტი "ჯინო" და სალომე ჯაშის ფილმის პროექტი პირობითი სათაურით "სადგური" გამარჯვებულებად დასახელდა. გერმაიული მხრიდან პროექტის პროდიუსერია ურტე ფინკი. ქართული პროექტები ჟიურიმ საუკეთესოე-องตั้งตกงศ์ง ตั้ง "ศักอกัศัย อักสิโ შტიფტუნგ პრიზით" დაჯილდოვდა, – განაცხადა ნინია ახვლედიან-

მისივე თქმით, თითო პროექტის ავტორებმა ფილმის გადასა-ღებად ბოშის ფონდისგან 70.000

ევრო მოიპოვეს. – 2012 წელს ისინი მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და რობერტ ბოშის ფონდის მიერ ორგანიზებულ უორქშოფში. უორქშოფში მონაწილეობის შედეგად, დათო კიკნაველიძის შემოქმედებით გუნდს შეუერთდა ახალგაზრდა გერმანელი კოპროდიუსერი ანე-კატრინ ლივერენსი და გერმანელი ხმის რეჟისო რი და კომპოზიტორი მარიან მენტრუპი. განვითარებული პროექტი მათ ერთობლივი მუშაობის შედეგად წარადგინეს ამ ნომინაციაზე.

რობერტ ბოშის კოპროდუქციის პროექტი ქართული განაცხა დებისათვის 2011 წელს ფონდის წარმომადგენლებს და ეროვნულ კინოცენტრს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად გაიხსნა. ტრეინინგი და უორქშოფი თბილის-ში ორჯერ – 2011 და 2012 წლებში ჩატარდა. 2011 წელს კოპროდუქციის პრიზზე ნომინირებული იყო დოკუმენტური ფილმის პროექტი "მადონა", რომლის ავტორები არიან ნათია გულიაშვილი და ნინო გოგუა, – განმარტა ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელმა.

ეროვნული კინოცენტრის და რობერტ ბოშის ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2011-2012 წლებში საქართველოში გაიმართა ინდუსტრიული შეხვედრები. ცნობილმა გერმანელმა ექსპერტებმა, ტრენერებმა და პროდიუსერებმა ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის ჩაა-ผู้งหัว ได้ ผู้หัวกรักริสก, ัศพลุทัศ ๆร์ เอง განავითარონ რეჟისორმა და პროდიუსერმა კინოპროექტი ევროპული სტანდარტებით

– ამ პროგრამაში მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კინემატოგრაფისტები. ვიზიტების და ტრეინინგების ყველა ხარჯი გერმანულმა მხა რემ თავის თავზე აიღო, – განმარგა ნინია ახვლედიანმა.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲡ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ამ თეატრში ნამდვილად არიან მსახიობები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდნენ. რეზო องสงค์อสุกตงสกับ สงค์บังสูตงลูกป შემდეგ, ჩვენი თეატრის წინ მაისში გაიხსნება ბატონი ლადო მექვაბიშვილის ვარსკვლავი და ასევე ბერტა ხაფავას და ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავები.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი პრემიერისთვის ემზადება და 20-21 აპრილს მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს. მსახიობებთან ამჯერად რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი მუშაობს და დავით კლდიაშვილის "ირინეს ბედნიერებას" დგამს. სპექტაკლის მხატვარია ლომგულ მურუსიძე, ხოლო კოსტიუმები შექმნილია როგორც ეპოქისთვის დამახასიათებელ სტილში, ასევე თანამედროვე

ინტერპრეტაციით. მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილს ეკუთვნის.

სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც ახალგაზრდა, ასევე ძველი თაობის მსახიობები, მათ შორის, დავით ხახიძე, ვამეხ ჯანგიძე, ნინო ლორთქიფანიძე, ნათელა მაჭავარიანი, რევაზ თავართქილაძე, ნიკა კვანტალიანი, იოსებ მოლოდინაშვილი. უკვე ცნობილია, რომ "ირინეს ბედნიერებაში" სხვადასხვა თეატრებიდან მოწვეული რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობიც ითამაშებს – გაგა შიშინაშვილი, მარიამ ჩუხრუკიძე, რატი გოგუაძე. ამ სპექტაკლით მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე კიდევ ერთი დებიუტი შედგება. მსახიობი თამარ ჭანუყვაძე ქართველი მაყურებლის წინაშე ირინეს როლით ამ თეატრის სცენაზე პირველად წარდგება

ეკა ირემაშვილი

ᲙᲣᲚᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲝ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲦᲝᲕᲔᲑᲡ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს. პროექტს უნდა ერთვოდეს თანადაფინანსების შემთხვევაში, თანადამფინანსებლის საგარანტიო წერილი; იმ ทศัลงอีกซึ่งผูกกบ บงลงคั้งอีลูกัก ซึ_่กრილი, სადაც დაგეგმილია გამოფენა; პროექტი უნდა განხორ-ციელდეს 2013 წლის ბოლომდე; პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად, სადაც აღნიშნული უნდა იყოს კონკურსის სახელწოდება. პროექტს უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე საკითხის მოკლე აღწერით, აგრეთვე პროექტი და ყველა თანდართული მასალა სიდი ลูกูต์บลลน์ บริชาตริย. เลตริมูต์บลิก გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 აპრილის №03/54 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულტაციო საბჭო. კონკურსში გამარ_{ჯვებული} პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება შესაბამის თანხაზე მხოლოდ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. პროექტის წარმოდგენის ბოლო ვადაა 3 მაისი. რაც შეეხება კონკურსის ბიუჯეტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10.000 ლარს. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე "სახვითი ხელოვნების განვითარების 2013 წლის პროგრამის" ფარგლებში, შესაძლოა დაფინანსდეს პრიორი-

ტეტის შესაბამისი დაახლოებით 5 გამარჯვებული პროექტი. კონსულტაციები კი გაიმართება ყოველ ოთხშაბათს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენ**გ**ში, – ითქვა პრესკონფერენ-

და ბოლო კონკურსი, რომელსაც კულტურის სამინისგრო აცხადებს, ეს არის კონ-

"საიუბილეო ღონისძიებების მხარდაჭერაზე"

- კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისგროს 2013 წლის სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამის პრიორიტეტი: საიუბილეო ღონისძიებების მხარდაჭერა, კონკურსის მიზანია ღვაწლმოსილ ხელოვანთა ხსოვნისადმი თუ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების – გამოფენების, კატალოგების, ალბომების, ბუკლეტების გამოსაცემად მომზადება მხარდაჭერა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს "სახვითი ხელოვნების განვითარების 2013 წლის პროგრამიდან" დაფინანსდება პროექტები ღვაწლმოსილ ხელოვანთა ხსოვნისადმი თუ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად; კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირებს. პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს. პროექტს უნდა ერთვოდეს იგივე დოკუმენტაცია, რაც წინა კონკურსზე, განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ

ᲚᲐᲒᲐᲕᲠᲐᲡ ᲣᲦᲘᲠᲘᲥᲝᲠᲔᲑᲡ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რა" თავისი მხატვრული ღირებულებით ვერ უტოლდება ვერც "აბესალომ და ეთერის" და ვერც "დაისს", ამიტომ საზოგადოებამაც გულგრილად მიიღო ოპერა, რამაც კომპოზიტორის გულისწყრომა გამოიწვია. თავად ზაქარია ფალიაშვილს ძალიან უყვარდა "ლატავრა" და სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა მის სრულყოფას.


– ჩვენ გავერთიანდით გიორგი ყორღანაშვილისთვის. თითოეული თქვენგანის მხარდაჭერით და მონდომებით გიორგი უკვე სამკურნალოდ გაემგზავრა. ამჯერად ჩვენ კვლავ ვერთიანდებით. მარჯანიშვილის თეატრი, რუსთაველის თეატრი და ოპერისა და ბალეტის თეატრი მართავს საქველმოქმედო საღამოს. მარჯანიშვილის თეატრის ინიციატივით, 18 აპრილის საქველმოქმედო საღამოზე შემოსული თანხა სრულად მოხმარდება თენგო ზაკაშვილის ჯანმრთელობას. პირველ განყოფილებაში შესრულდება ზაქარია ფალიაშვილის "ლატავრა", რომელსაც ააჟღერებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი და მეორე განყოფილებაში შესრულდება ლაიონელ ბარტის მიუზიკლის "ოლივერი" საკონცერტო შესრულება. სპექტაკლს წარმოადგენენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, – განუცხადეს "ახალ თაობას" მარჯანიშვილის თეატრში.

საქველმოქმედო საღამოზე დასასწრები ბილეთის ფასი **15** ლარია.

შვეულად: 1. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკებების შესახებ; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. აშშ-ს პრეზიდენტი; 4. მრავალფეროვანი ყვავილის მქონე ბოლქვიანი მცენარე; 5. საქართველოში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. ხალხური ზეპირიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. გზის საფარი; 15 თოლიკური ეკლესიის მცველი; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ვენეციური ნავი; 20. ვერცხლით დაფარული დანა-

თარაზულად: 6. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 7. სამშენებლო საქმეში გამოყენებული ვულკანური წარმოშობის ქანი; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. მხარე ავსტრიაში; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 18. კვირის ერთ-ერთი დღე; 19. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 21. მონღოლი მწყემსი; 22. მთიანეთი შუა-აზიაში; 23. ზღვის სიღრმეების საკვლევი ჰერმეტული კამერა; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილ

შეადგინა თ.გოგინაშვილმა 23



წინა ნომეხში გამოქვეყნებული ახოსვოხდების პასუხები:

ሪ የምሥርብ የተ

შვეულად: 1. გორგოძე; 2. კუბელიკი; 3. ჰინდიკუში; 4. რევანში; 5. მარკეტინგი; 10. ბაზელი; 11. ხელბურთი; 12. ჰამლეტი; 13. შარიათი; 16. ჯალამბარი; 17. გრიზაილი; 19. აფშერონი; 21. ბოლტი; 23. ვარდი. თარაზულად: 6. პორტუგალია; 7. სეკუნდა; 8. ბოჟოლე; 9.

ვირჯინია; 14. ნარიყალა; 15. ჰემინგუეი; 18. კათხა; 20. ღრუბელი; 22. დივიზია; 24. ლონდრე; 25. ფავორიტი; 26. ნადალი.

პრᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ъ

შვეულად: 1. ჩანადირი; 2. ზანდური; 3. პიაფი; 4. კარწა ხი; 5. ჩარხილი; 10. ჰამბურგი; 11. რეპორტიორი; 12. ევტერპე; 15. დრომადერი; 16. კრუპიე; 17. რაზდანი; 20. სამბო.


თარაზულად: 6. ჟანდარმერია; 7. კალმარი; 8. ბაიდარა; 9. დინარი; 13. რიწა; 14. თელავი; 18. სერვოლანი; 21. იანძი; 19. კამიუ; 22. დელონი; 23. მინაშვილი; 24. ბრისტოლი.

3603633

ხუთშაბათი

18 **s**3hncn

NAJEUN UMANUN 5,7 UJUSTU UMANUN 15,7 UJUSTU UMANUN ፀሀደሀቦዛ3ሢን **ፀ**ሠዮሬን



ირანში, პაკისტანის საზღვართან ახლოს 5,7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ამერიკის გეოლოგიური სამსახურის ცნობით, ეპიცენტრი ქალაქ ხაშიდან 107 კმ-ში მდებარეობდა. შეგახსენებთ, გუშინ ქვეყანაში 7,8 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა, რომელსაც 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ძლიერი მიწისძვრა მოხდა პაპუა-ახალი გვინეას ნაპირზეც. მრავალმა მაცხოვრებელმა ცუნამის საფრთხის გამო საცხოვრებე ლი დატოვა. ამერიკის გეოლოგიური სამსახურის ცნობით, 6,8 მაგნიტუდის მიწისძვრა დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად არავინ დაზარალებულა. ხელისუფლების ცნობით, ცუნამის საფრთხე, ამ დროისათვის, არ არსებობს.

ՆՀՐՅՈՅԻՊԵ ՆՈՍՆԵՈՆԵՐԻ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲓᲔᲑᲐ



ახალი ზელანდიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებას კანონიერად აცხადებს. ამრიგად, ახალი ზელანდია აზია-წყნარ ოკეანეთის პირველი ქვეყანა იქნება, სადაც ერ-თსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება მოხდება.

კანონის სასარგებლოდ 77 დეპუტატმა მისცა ხმა, წინააღმდეგი გამოვიდა 44 დეპუტატი. პარლამენტის შენობასთან შეკრებილები დეპუტატების მიერ კანონის დამტკიცებას ზეი-მით შეხვდნენ. ცოტა ხნის წინ

ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საფრანგეთის სენატმაც დაუჭირამხარი. ახლა კანონს მხოლოდ პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის ხელმოწერა აკლია. ახალი ზელან-

დია კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანის

სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. განლაგებულია ორ დიდ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კუნძულებზე, მრავალ მცირე კუნძულებზე. ქვეყნის დედაქალაქია ველინგტონი, უდიდესი ქალაქი – ოკლენდი. ახალი ზელანდიის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,451,017 ადამიანს (2013 წლის მონაცემებით). ქვეყანა არის კონსტიტუციური მონარქიის და დემოკრატიული პარლამენტის პრინციპზე აგე-ბული და შედის განვითარებული ქვეყნების სიაში.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ᲒᲔᲒᲩᲔᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲖᲐ

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის მარგარეტ ტ $^{-}$ ტგჩერის დაკრძალვის ცერემონია ჩა-ტარდა. ცერემონიას წმინდა პავლეს ტაძარში 2000-მდე სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის დიდი პრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე და მთელი სამეფო ოჯახი. ასევე, ცერემონიას დაესწრო ბრიტანეთს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი.

ეკლესიიდან საფლავზე გადასვენება სამხედრო ესკორტის თანხლებით მოხდა. გზას კი 4 ათასამდე პოლიციელი იცავ-და. მოხდა რამდენიმე მცირე ინციდენტი ტეტჩერის პოლიტიკის მოწინააღმდეგეების მონაწილეობით, თუმცა "ბი-ბი-სის" ინფორმაციით, სერიოზულ დემონსტრაციას ადგილი არ ჰქო-

დამსწრეთა შორის იყვნენ აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და ყოფილი სა-ხელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი.

გარდა ამისა, ერთი დღით ლონდონში ბიგ-ბენის საათიც არ დარეკავს, რომელსაც ხმა ბოლოს **1965** წელს, უინსტონ ჩერჩილის გარდაცვალების გამო გამოურთეს.

შეგახსენებთ, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი 8 აპრილს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზი ინსულტი გახდა. ტეტჩერი დიდი ბრიტანეთის მთავრობას 1979-1990 წლებში ხელმძღვანელობდა და იყო ერთადერთი პრემიერ-მინის-



გრი ქალი ბრიგანეთის ისგორიაში

მტკიცე ხასიათის გამო მას "რკინის ლედიც" კი შეარ-ქვეს. 2002 წელს ტეტჩერმა გულის რამდენიმე შეტევაც გადა-กลงถึง. อังค์ครับใง อึงค์_องค์ฏลู ჰილდა ტეტჩერი (ქალიშვილო ბაში რობერტსი), 1925 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა. იგი იყო გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი (კონსერვატიული პარტია) 1979-90 წლებში.

დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი 1950 წელს. პირველი ქალი-თავმჯდომარე გახდა უნივერსიტეტის კონსერვატიული პარტიის ასოციაციის. 1951 წელს ცოლად გაჰყვა მეწარმე დენის ტეტჩერს. 1954 წელს ადვოკატის მოწმობა აიღო. 1959 წელს აირჩიეს თემთა პალატის დეპუტატად. 1961-64 წლებში მსახურობდა საპენსიო სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად, 1970-74 წლებში

კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ჰიტის კაბინეტში. 1975 წლიდან კონსერვატიული პარტიის ლიდერი გახდა.

1979 წელს პრემიერ-მი-ნისტრი გახდა. ამ პოსტზე მან ბრიტანეთის ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ძირფესვიანი რეფორმები გაატარა. მიუხედავად მწვავე კრიტიკისა, არჩეული კურსის გადაუხრელად გატარების გამო, "რკინის ლედი" შეარქვეს. მისი პოლიტიკა და ეკონომიკური იდეო-ლოგია შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც ტეტჩერიზმი. 1990 წელს დატოვა პარტიის ლიდერის და შესაბამისად პრე-

მიერ-მინისტრის პოსტი. ტეტჩერის პრემიერობა ყველაზე ხანგრძლივი იყო მე-20 საუკუნეში. გადადგომის შემდეგ დაწერა წიგნი "სახელმწიფოს მართვის ხელოვნება". 1992 წლის ივნისში ბარონესის ტიტული მიანიჭეს. იგი ბილდერბერგის კლუბის მუდმივი წევრი იყო.

სხვა არასასიამოვნო

შედეგებიც: აჩქარე-

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი, — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ "როსელბ" 17.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი"18.00 "პეპე და მეგობრები, 19.05 ტ/სერ "ღაპშორწინდეთ"21.00 ტ/სერ "როსელბ"22.00 "აქცენტები" 23.30 "წითული ზონა" 00.30 მხ/ფ "ხელები ქალაბის ტ/სერ "მარიხუანას პარადოქსები" მარისუანას პარადოქსები" 06.30 "მოამბე" (აფხაზურ, დ/სერ "მარიხუანას პარადოქსები"

/ 08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 სა-ქართველოს პარლამენტის სხდომის გრანსლაცია (პ/გ)19.00 გ/სერ. "საიდუმლო გამოძიეგანი" 15

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგ-რძელება)10.00 სერ. "ზაუპიწას-რი", 13 სერ.11.20 სერ. "მაზმის ქპრი30,13.00 დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები, 14.40 ახალი საბავშ-თ ხმა (გ/ჩ)16.35 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ)17.50 სერ. "010ლის-მა, 18.50 სერ. "ბპრძბლული სიყ-პბრული, 10 სერ.21.00 სერ. "მბრ-ტი 12.00 დი ქპოლი 22.00 დი ქპოლი 20.00 დი 20.00 დ ტოსული, 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "სიყვა-რული მშვენიერია"11.00 სერ. "იღუმალი ძალი"12.00, 15.00, 18.00, "N& 2604 \ 1 ად \ 1, 12.00, 15.00, 16.00, 21.00 კურიერი12.30 "შუა დღე"15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. "3650გის შფსპრული 18.45 სერ. "ცრემ-ლეგის გვირგვინი 20.05 სერ "ერთგულეგის ძალა"20.50 ეროვნული ლატარეა22.00 პოზიცია23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 20.55, 20.30, 06.05, 12.00, 15.00, 10.00, 2... 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "გაძცევა შოუშენკოდან" II დოქ/ფ "ველური მუცება, სი.3J გს/ფ "გაძცეპა შოუშენაქოდან" II 6აწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი, 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერ-ნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების ქება 10.45 მაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" დავით ჭკადუა
11.40 ქრისტიანული სწავლება
12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ცისპრის
ზარები" 13.15 კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო 14.50 მართული იუსიკის საღათ 14:30 ბარ-თლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორა-ტიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების გან-მარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ "უკანასკნელი ჯვაროსნები" " ეპანასამბლი " გაპაროსნმანი, 17.25 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთ-ქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ბრ Დაიჯეტო, რომ აღარამარ" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამეადაგება 21.50 მოგ ბაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხე-ლუვნება 22.55 მართლმადიდებ-ლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუ-อิงค์ก 01.00 _{კვირიაკე} 02.00 กลังก

მაესსრო 🕑 _{7.00 ახალი ამბე-} ბი (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00 მაგთიფანი (ხუთშ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები, 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 "ყოველდღიური აბები, 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ—შოუ "კოლიტმეტრი, -"პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

ᲒᲔᲩᲜᲔᲗᲨᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲦᲕᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲦ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ



აღნიშნული კანონი პარლამენტში ეკონომიკური და საინვესტიციო საკითხების კომიტეტმა წარადგინა. კანონი ოფიციალურად ძა-

ლაში ჩეჩნეთის ლიდერის ხელმოწერის და მისი გამოქვეყნების შემდეგ შევა.

ცნობისთვის, ენერგეტი-კული სასმელი არის მატონიზირებელი, რომელიც გვაძლევს მცირეხნიან ენერგიის მოზღვავებას. ადამიანის შინაგანი რესურსები მობილიზდება, მაგრამ ადამიანის რესურ-



მისმა მუდმივმა სტიმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს საშინელი შედეგები. ასე რომ, მისმა ყოველდღიურმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შედეგი, სიფხიზლის და ენერგიის მოზღვავების მაგივრად შეიძლება მიიღოთ, მოთენთილობა და დაღლა. ასევე

ნივთიერებები, ნერვული სისტემის ტონიზირებისთვის (კოფეინი, ზრდადი ฏปินผู้ดังปลูก გუงิดังธิก და ჟენშენი). ნახშირწყლები – ენერგი-

მარეობაც.

ის მატარებლები, როგორებიცაა: გლუკოზა, საქაროზა.

ნივთიერებათა მასტიმულირებელი ელემენტები: ვიტამინი ბე და მსგავსი ვიტამინები, მაგალითად, ტაურინი.

არომატიზატორები და საკვები დანამატი.

ᲞᲣ&ᲘᲜᲘ: ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲔᲗ ᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ!



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე მო--ულოდნელად ოპერატორებს კამერების გამორთვა მოსთხოვა. ამერების გამორთვის შემდეგ, მან მთავრობის წევრების კრიტიკა დაიწყო. მისი თქმით, მთავრობის უუნარობამ შესაძლოა მისი გადაყენების საკითხი დააყენოს. პუტინის თქმით, ან უნდა დადგინდეს, რომ იგი თავად არაეფექტურად მუშაობს, ან მთავრობა ვერ მუშაობს. მისი თქმით, იგი უფოო მეორე ვარიანტს ემხრობა.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი კამერა მაინც ჩართული დარჩა და ეს ყველაფერი ჩაიწერა. ვიდეო მასალა სააგენტო "ლაიფნიუსმა" გაავრცელა.

. შეგახსენებთ, რომ რუსე თის ეკონომიკა, პირველად 2008 წლის ეკონომიკური კრიზის შემდეგ, რეცესიაში შედის. მთლიანი შიგა პროდუქტის შემცირე-

ბა კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა. რუსეთში ეკონომიკურ კრიზისს შემოდგომიდან მოელიან. აღნიშნუ-ლის შესახებ მინიშნება უკვე გააკეთა ქვეყნის ეკონომიკის მი-ნისტრმა ანდრეი ბელოუსოვმაც.

მინისტრის განმარტებით, ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ეკონომიკის სტიმულირება მოხდეს. მისივე განმარტებით, ასეთი ზომების გატარება მნიშვნელოვანია, რათა ქვეყნის ეკონომიკა რეცესიაში არ შევიდეს. მინისტრი აღიარებს, რომ შემოდგომით მშპ-ს ვარდნა მოსალოდნელია.

ბის გათვლებით, მშპ-ს ზრდის ტემპი 2,4 %-ი იქნება, ნაცვლად წინასწარ პროგნოზირებული 3,6 %-ისა. ირკვევა, რომ იანვარ-მარტში ეკონომიკა მხოლოდ 1%-ით გაიზარდა, ნაცვლად დაგეგმილი 4 %-ისა. იმავდროულად თებერვალში მშპ მხოლოდ 0,1 %-ით გაიზარდა, ხოლო წარმოება 2,1 %-ით შემცირდა.

ᲡᲐᲛᲑᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ



ოთარ და თამარ წოწორიები თანაუგრძნობენ როზა ქსოვრელ-გაბედავას, პაატა გაბედავას, ია ჩიტაშვილსა და მარიამ გაბედავას საყვარელი შვი ლის, ძმის, მეუღლისა და მამის

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ (ᲒᲘᲒᲐ) 3ᲚᲐᲦᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ

გაგეღავას გარდაცვალების გამო.

სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის სადროშოსა და საქართველოს ძალოვან ვეტერანთა ლიგის ხელმძღვანელობ. და წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანამებრძოლის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლი ლის ოჯახს.

შპს "საქართველოს ფოსტის" გაერთიანებული პროფკო მიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, კავშირგაბმულობის დარგის დამსახურებული და ღვაწლმოსილი მუშაკის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფი უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ ჟურნალ "ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარ რედაქტორს, პროფესორ რევაზ გოგოხიას გარდაეცვალა ძმა

3747 9494417

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲛᲑᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, **ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲦᲐ, 12-ᲦᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲦᲔ**.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲔᲡᲡᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲐᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

აშშ დოლარი — 1,6522






რუბლი — 5,2777



23 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲦᲐᲜ



მსოფლიოს

იიოყლით ხალხთა ზღაპრები

8 8 9 1 2

ჩეხური ზღაპრები

ყვე<u>ი</u>ამ გაითვა<u>იისწინეთ!</u> ფეტამალის ფლეა




33იძი — ფული გაქვთ, პრობლემები არ განუხებთ, ქპირ — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. გუპპპი — დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. ქიგჩხიბი — ნურავის ენდობით, ყური მიუგდეთ ინტუიციას. ლომი — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. ქალნალი კურადღების ცენტრში ხართ და გსიამოვნებთ. სასნობი — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. ლისანქალი — რთული სიტუაციიდან გამოსვლას მოახერხებთ. მშპილოსანი — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, გელით საჩუქარი. თხის რქა — ენერგიის აღდგენა გჭირდებათ, დაისვენეთ და გაერთეთ. მპინშალი — ფულს შოულობთ, ნავაჭრი იღბლიანი აღმოჩნდება. თავაები — კარგ ხასიათზე დადგებით, ამის მიზეზი ნამდვილად გაქვთ.

შვეულად: 1. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფ-

ლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონას-ტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. აგატა კრისტის ნაწარ-მოების მთავარი პერსონაჟი, დეტექტივი; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 12. აარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 18. დოკუმენტების, ცნობების კრებული ვინმეს ან რაიმეს შესახებ; 20. ძვირფასი ლითონი. თარაზულად: 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური

თარაზულად: 6. მხო, მოხერხება; 7. ბალხეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრული თავსატეხი; 9. კუთხე საქართველოში; 10. მეცნიერების, ხელოვანთა მდიდარი მფარველი, მეოხი; 11. სასჯელი ქურდობისათვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. შემოდგომის ხილი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



11 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ!

"ᲐᲮᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ" ᲔᲠᲗᲐᲦ

"mhgymn Jsmonymn bms3mgón"







ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲛ ᲒᲠᲣᲙᲚᲘᲜᲡ ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲒᲐ

ასეთი სათაური მიუძღვნა "ჩიკაგო ტრიბუნმა" ქართველი კალათბურთელის პირველ გაელვებას ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. თორნიკე შენგელიამ მართლაც ჩინებულად გამოიყენა თავისი შანსი და "ვაშინგტონ ვიზარდთან" მატჩში ორმაგი



დუბლი შეასრულა – 11 ქულა, 11 მოხ

— რადგან ბრუკლინელებს აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილი განაღდებული აქვთ, მწვრთნელმა პი ჯეი კარლესმომ სასტარტო ხუთეულის რამდენიმე კალათბურთელი დაასვენა და ვაშინგტონელებთან ბრძოლაში ახალბედებს დაეყრდნო. ყველაზე უკეთ თავისი შანსი შენგელიამ გამოიყენა, წერს "ჩიკაგო ტრიბუნი".

თავად ქართველი კალათბურთელი კმაყოფილი დარჩა თავისი გარჯით. თორნიკე შენგელია:

– ნბა-ში პირველად შევასრულე ორმაგი დუბლი, პირველად მომეცა საკ-მარისი სათამაშო დრო, 25 წუთი. როცა ასეთი შესაძლებლობა გეძლევა და შანსს გამოიყენებ, ცხადია, კმაყოფილი იქნე-ბი

გეტყვით იმასაც, რომ შენგელია მესამე ქართველი კალათბურთელია, რომელმაც ნბა-ში ორმაგი დუბლი შეას-რულა. 63-ჯერ ეს ზაზა ფაჩულიას აქვს გაკეთებული, 10-ჯერ კი, ვლადიმერ სტეფანიას. ერთადერთი კალათბურთელი, რომელმაც ნბა-ში ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, ნიკოლოზ ცქიტიშვილია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

🅦 ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ირაკლი ჩო ლოყაშვილი 18 აპრილს მშობლიურ თეატრში საქველმოქმედო საღამოს გამართავს. ღონისძიების წარმომდგენია მარჯანიშვილის თეატრი, რუსთაველის თეატრი და ოპერისა და ბალეტის თეატრი. შეკრებილი საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის გმირულ-პატრიოტული ოპერის "ლატავრა" საკონცერტო შესრულება. ორმოქმედებიან საღამოზე შესრულდება ფალიაშვილის "ლატავრა" და ლაიონელ

"ლატავოა და ლაიოიელ ———— ბარტის მიუზიკლის "ოლივერის" საკონცერტო შესრულება.

ოპერის ლიბრეტოს ავტორები არიან სანდრო შანშიაშვილი და აკაკი ანდრიაშვილი, სოლისტები — მარიკა მაჩიტიძე (ლატავ-რა), ელენე ჯანჯალია (ნენო), ვანო გალუაშ-ვილი (თადე), თეიმურაზ გუგუშვილი (გურამი), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (ენგიჩარი), სულხან გველესიანი (ვეზირი) და არჩილ გოგიტიძე (მგოსანი, მსახურთუხუცესი).



კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი
და სიმფონიური ორკესტრი, მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე და ორკესტრის კონცერტმაისტერი
— ლელა მჭედლიძე.

ზაქარია ფალიაშვილის მესამე ოპერა "ლატავრა" გმირულ პატრიოტული ნაწარმოებია. ამ
მუსიკით კომპოზიტორმა
სცადა განედიდებინა სახალხო ხელისუფლების
იდეა. ოპერაში ფალიაშვილმა "აბესალომ და ეთერიდან" მორჩენილი თით-

ქმის ყველა მუსიკალური მასალა გამოიყენა. წარმოდგენა სანდრო ახმეტელმა დადგა, მაგრამ, "ლატავრას" ვერაფერმა უშველა. ფალიაშვილის მორიგ ოპერას ქართული პრესა
მეტად თავშეკავებულად გამოეხმაურა. "ლატავრა" ოთხი სპექტაკლის შემდეგ რეპერტუარიდან მოიხსნა. ამას ზაქარია ფალიაშვილი
სიცოცხლის ბოლომდე ძალიან განიცდიდა.
მუსიკათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ "ლატავ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲡ

ნოგახ გუმბაძის სახეტობის სახეტმწიფო ცენტჩატუჩი საბავშვო თეატჩის წინ პიჩვეტი ვაჩსკვტავი გაიხსნა გა მისი მფტობეტი საქაჩთვეტოს გამსახუჩებუტი აჩტისტი, მაჩჯანიშვიტის პჩემიის ტაუჩეატი გა ლიჩსების ოჩგენის კავატეჩი ჩევაზ თავაჩთქიტაძე გახგა.



84 წლის მსახიობს მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომა დაუფასდა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ მისი ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

— რეზო თავართქილაძე ჩვენი თეატრის დამსახურებული და განსაკუთრებული მსახიობია. ის 1929 წელს ბაქოში დაიბადა. მან პროფესიად მსახიობობა აირჩია და თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრში. მსახიობი პარალელურად საქართველოს ტელევიზიაშიც მუშაობდა, სადაც წლების განმავლობაში სხვადასხვა გადაცემა მიჰყავდა. რეზო თავართქილაძეს 14 კინო, სატელევიზიო და 250-ზე მეტი დრამატული როლი აქვს განსახიერებული. ამჯერად იგი დაკავებულია შალვა გაწერელიას მიერ დადგმულ სპექტაკლში, რომელიც ოთარ ბაღათურიამ აღადგინა, — განაცხადა თეატრის მმართველმა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ პირველი ვარსკვლავის გახსნამდე, თეატრის დიდ დარბაზში რეჟისორ ოთარ ბაღათურიას მიერ აღდგენილი შალვა გაწერელიას სპექ-ტაკლი "კუკარაჩა" გათამაშდა, რომელშიც რეზო თავართქილაძე მოშეს როლს ასრულებს.

— პირველი ვარსკვლავი, რომელიც იხსნება ჩვენი თეატრის წინ, არის ბატონი რეზოსი, თუმცა სიმბოლურად, ის არის ვარსკვლავი მთელი თაობების. მომავალში, ჩვენ გვინდა გავაკეთოთ სიმბოლური ვარსკვლავი, რომელშიც ჩაიწერება ამ თეატრის ყველა წასული ვარსკვლავი, — განაცხადა ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალამდე დიმა ხვთისიაშვილმა.

როგორც თეატრის მმართველმა "ახალ თაობას" უთხრა, უახლოეს მომავალში, მათი თეატრიც ჩაერთვება ვარსკვლავომანიის ფერხულში და ბატონი რეზოს ვარსკვლავის შემდეგ მათი თეატრის წინ კიდევ არაერთი ხელოვანის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნება: გაგრძელება მე-10 გვერდზე